პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 158 (9934) | სამშაბათი, 6 ივლისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის ყრილობა (1-ლი გვერდი).

მოსავლის აღება და საკვების დამზადება მოვაწყოთ მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ. — **მტკიცე საკვები ბაზა საზოგადოებრივ მეცხოველეობას.** — **გ. ზუკაკიშვილი.** — შევასრულოთ საკვების დაგროვების გეგმა თვითეულ კოლმეურნეობაში. **გ. ოქრუაშვილი, გ. ხეჩუაშვილი.** — პურის ჩაბარების წინ. **გ. გელაშვილი.** — აღვკვეთოთ მარცვლეულის დანაკარგები (მე-2 გვერდი).

ა. თხილაიშვილი. — საბჭოთა აპარატ ემზადება სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის (მე-2 გვერდი).

ტაკენ ალიმკულოვი. — [illegible] მდებელი (მე-3 გვერდი).

ა. ჩიტაიშვილი. — თბილისელ [illegible] ჭიროებათ (მე-3 გვერდი).

დავამყაროთ წესრიგი ბინების განაწილებაში (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).

სანიმუშოდ მოვაწყოთ მოსავლის აღება და პურის დამზადება

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელები უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას, რომელშიც მოცემულია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის საბრძოლო პროგრამა. კოლმეურნეები, მექანიზატორები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს, შემოქმედებითად შრომობენ, რათა პირნათლად შეასრულონ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანები.

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა, საბჭოთა მეურნეობებმა შარშანდელთან შედარებით წელს უფრო ორგანიზებულად შეასრულეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები, გაიფართოეს სათესი ფართობები და აამაღლეს სამუშაოთა ხარისხი. კოლმეურნეთა, მექანიზატორთა, სპეციალისტთა დაუღალავი შრომით მოყვანილია პურეულის ბარაქიანი მოსავალი, რაც ყველა მშრომელის გულს ახარებს.

ეს მაღალი მოსავალი უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ადგილობრივ ორგანიზაციებს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პურეულის უდანაკარგოდ აღებაში. ჩვენს რესპუბლიკაში ოცდათვიანი კულტურების მოსავლის აღება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება ჩაღდება ისეთ პერიოდში, როცა სოფლად დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა, როცა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები პრაქტიკულად შეუდგნენ ზრძოლას პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

საბჭოთა სოფლის ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოსავლის აღებას, რაც დღითიდღე ჩაღდება. ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს მოსავალი დროზე და უდანაკარგოდ ავიღოთ. საქართველოს მტს-ები შეიარაღებული არიან პირველხარისხოვანი ტექნიკით. წელს მოსავლის აღებაზე იმუშავებს 1.108 კომბაინი. არ უნდა დავიიწყოთ, რომ მოსავლის აღებაში გადამწყვეტი როლი კომბაინებს ეკუთვნით. მაგრამ ზოგან ამას არ ითვალისწინებენ. 1 ივლისისათვის კომბაინების რემონტი დამთავრებული არ ჰქონდათ ხაშურის, ქარელის, რუსოს, გურჯაანის, ალაზნის, შირაქის მტს-ებს.

კომბაინები ხარისხობრივად თუ არ შეკეთდა, შეუძლებელია გეგმის შესრულება. სამწუხაროდ, ზოგან ვხვდებით კომბაინების ცუდად შეკეთების ფაქტებს. მაგალითად, ენისლის, ბადიაურისა და სხვა მტს-ებში. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოწოდებული არიან ქმედითი ზომები განახორციელონ კომბაინების სრულ წესრიგზე მოსაყვანად.

პარტიის მოწოდებას საქართველოს კომბაინერები უპასუხებენ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით. განთქმული კომბაინერი სოლომონ რამაზაშვილი ჩვენი გაზეთის 3 ივლისის ნომერში მოგვითხრობდა, თუ როგორ უნდა მივაწიოთ კომბაინის მაღალ ნაყოფიერებას და, რომ წელს ის 24 სამუშაო დღეში 600 ჰექტარს მომკის და 800 ტონა მარცვლეულს გალეწავს. სახელმოხვეჭილი კომბაინერები მიხეილ ლაზარიაშვილი, იოსებ ტიტვინიძე, ვლადიმერ ყაველაშვილი და სხვები იბრძვიან იმისათვის, რომ ახალ ლონისძიებათა გამოყენებით სრულყონ კომბაინის შეუფერხებელი მუშაობა. დაე თვითეულმა კომბაინერმა მიბაძოს მოწინავეთა მაგალითს. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან სათავეში ჩაუდგნენ მექანიზატორთა პატრიოტულ მოძრაობას ცვლის ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ამასთანავე დანაკარგების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მკის დაწყების პირველი დღეებიდანვე მთლიანად ავამოქმედოთ მარტივი მანქანები, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ხელსაყრელი ამინდის ყოველი დღე პურეულის მკის, დაზვინვისა და გალეწვის რაც შეიძლება მოკლე ვადებში დამთავრებისათვის. ადგილებიდან მეღებული მასალები მოწმობენ, რომ სალეწი მანქანების რემონტი ჭიანურდება სამთავისის, თეძამის, სტალინირის, წალკის, თიანეთის, ბოგდანოვკის, ბოლნისისა და მთელ რიგ სხვა მტს-ებში. დუშეთის, განძის, ავრალის, ყაჩაღნის მტს-ებს 1 ივლისისათვის არც ერთი სალეწი მანქანა არ ჰქონდათ რემონტიდან გამოშვებული. მთის რაიონების ზოგიერთი მტს-ი არადამაკმაყოფილებლად ემზადება პურეულის ასაღებად. მთის რაიონების ხელმძღვანელმა მუშაკებმა საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ გასული წლის მწარე გაკვეთილიდან, როცა დროულად მოუმზადებლობის გამო შეუწყნარებლად გაჭიანურდა მკა და ლეწვა, რამაც პურეულის დიდძალი დანაკარგი გამოიწვია. არ შეიძლება შევურიგდეთ ასეთ მდგომარეობას, ბოლო უნდა მოეღოს ზოგიერთი მტს-ის ხელმძღვანელთა მიერ სალეწი მანქანების დროულად შეკეთების შეუფასებლობას.

მკის პირველმა დღეებმა გამოავლინეს სერიოზული ნაკლოვანებები ტექნიკის გამოყენებასა და დანაკარგებთან ბრძოლაში წითელწყაროს, ყვარლის, გარდაბნისა და სხვა რაიონებში. მაგალითად, წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კოლმეურნეობაში ერთ კვადრატულ მეტრზე დატოვეს 20-30 თავთავი.

პურეულის აღების პირველ დღეებში გამოვლინებული ნაკლოვანებები მოწმობს, რომ დანაკარგის წინააღმდეგ ბრძოლას ზოგან ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა. ასეთი რამ აღარ უნდა გამეორდეს. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოწოდებული არიან სწრაფად გამოასწორონ პირველ დღეებში გამოვლინებული ნაკლოვანებები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია მოაგონოს პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების ხელმძღვანელებს, რომ მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

უნდა გავითვალისწინოთ ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომლებიც შარშან იყო დაშვებული ადგილებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის საქმეში. დამამზადებელ ორგანიზაციებს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს დიდი მუშაობა მოელით. არის სიგნალები, რომ პურის მიმღებ პუნქტებს ჯერ კიდევ ყველაფერი როდი აქვთ მზად შეუფერხებელი მუშაობისათვის. ზაგოტზერნოს წითელწყაროს მიმღებ პუნქტში დამთავრებული არ არის მისასვლელი გზების შეკეთება, გააჭიანურეს საწყობის სრულ წესრიგზე მოყვანა. ზაგოტზერნოს ნავთლუღის სარეალიზაციო ბაზაში ყველა საწყობი როდია მზად პურეულის მისაღებად. ბადიაურისა და წნორის მიმღები პუნქტების საწყობები ჯერაც არ არიან მთლიანად განტვირთული მარცვლეულის ძველი მოსავლისაგან. მთელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სანიმუშოდ მომზადების სამუშაოთა სწრაფად დამთავრება დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაკთა ღვიძლი საქმეა. საბჭოთა სახელმწიფოსათვის პურეულის ჩაბარება უნდა გაჩაღდეს მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე.

მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმების შესრულების უზრუნველყოფა მოითხოვს სოფლად რრგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ახალი ამოცანების დონეზე აყვანას. სოფლად პოლიტიკურ მუშაობაში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ყველა კოლმეურნეს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს განემარტოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების მაღალხარისხოვნად და დროზე ჩატარებას იმისათვის, რომ გადაიჭრას სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანები.

ჩეხოსლოვაკიაში გამოიცა ვ. ი. ლენინის თხზულებანი

პრაღა. (საკდესი). პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ჩეხურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა X ტომი. მისი ტირაჟია 50 ათასი ცალი.

საბჭოთა საქართველოს დღე

★

საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრი საქართველოში

საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრს აქვს სახელოვანი ტრადიცია — მოიმსახურება გაუწიოს სამხედრო ნაწილებს ადგილებზე. ამჟამად თეატრის ერთი ჯგუფი 75 კაცის შემადგენლობით მოიწვე აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებში ყოფნის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა.

თეატრმა ჩამოიტანა ძირითადი რეპერტუარის 2 საუკეთესო დადგმა — ა. ბარიანოვის „იმათ მზარეში“ (დამდგმელი — ვ. კანცელი) და ნ. ბაზილევსკის „ლიკურგის კანონი“ — ამერიკელი მწერლის ტ. დრაიზერის რომანის „ამერიკული ტრაგედიის“ ნოტივების მიხედვით (დამდგმელი რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ვორონშილოვი).

სპექტაკლებში მონაწილეობას იღებენ თეატრის წამყვანი მსახიობები: სტალინური პრემიის ლაურეატი, რსფსრ სახალხო არტისტი ა. ხოვანსკი, სტალინური პრემიის ლაურეატები, რსფსრ დამსახურებული არტისტები მ. მაიოროვი და ნ. პასტუხოვა, რსფსრ დამსახურებული არტისტი ვ. სომოვი, მსახიობები ლ. ფეტისოვა, ნ. ნერონოვი, პ. დოლეანოვი, ტ. ბოჩარნიკოვი, ნ. ოლშევსკაია, ვ. სოშალსკი და სხვ.

პირველად თეატრის მსახიობები ეწვიენ ქალაქ გორს, სადაც დღისით დიდი ინტერესით დათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი, ხოლო საღამოს წარმოადგინეს „ლიკურგის კანონი“.

3 ივლისს თბილისის ოფიცერთა სახლის საზაფხულო პარკში თეატრმა უჩვენა „იმათ მზარეში“, 4 ივლისს „ლიკურგის კანონი“.

გრიგოედოვის თეატრის გასტროლები

ჟუთაისი. (საკ. კორ.). აქ საგასტროლოდ ჩამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე თეატრის — გრიბოედოვის სახელობის თეატრის კოლექტივი, რომელიც მაყურებელს უჩვენებს 11 საუკეთესო დადგმას.

პირველსავე წარმოდგენას—ა. ჩეხოვის დრამას „თოლიას“ დიდი წარმატება ხვდა.

თეატრი ქუთაისელ მაყურებელს უჩვენებს მ. გორკის „ვასა ჟელეზნოვას“, კ. სიმონოვის „ერთი სიყვარულის ამბავს“, ს. მიხალკოვის სატირული კომედია „კიბოებს“, ვ. მინკოს „ბვარს ნუ დავასახელებთ“, ი. ინონესკის „პროკურორის ქალიშვილს“ და სხვ.

სოხუმის თეატრის გასტროლები თბილისში

10 ივლისიდან გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გასტროლებს იწყებს სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართული კოლექტივი.

თეატრი მაყურებელს უჩვენებს 9 საუკეთესო დადგმას — ნაზიმ ჰიქმეთის პიესას „ლეგენდა სიყვარულზე“, მ. მრეველიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილს“ პროლოგით, რომელიც განხორციელებულია პირველად სოხუმის თეატრის ქართული კოლექტივის მიერ, კ. ბუაჩიძის „მკაცრ ქალიშვილებს“, ჰ. მუხტაროვის „ალანის ოჯახს“, ა. ოსტროვსკის პიესას „უდანაშაულო დამნაშავენი“ (დამდგმელი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ს. ჭელიძე), ს. კლდიაშვილის „დღესასწაულს საკრეულაში“, კ. გოგიავას „გაიხაროს ფულარიამ“ (დამდგმელი საქართველოს დამსახურებული არტისტი ლ. ჭელია) და ახალგაზრდა რეჟისორის გ. პატარაიას მიერ დადგმულ კომედიას „დონ სეზარ დე ბაზანი“.

თეატრის საგასტროლო წარმოდგენები გაგრძელდება 25 ივლისამდე.

★ ★

ლაგოდეხის რაიონში

მექანიზებული ფერმა

საყოველთაო მოწონებას იმსახურებს მეცხოველეობის მექანიზებული ფერმა, რომელიც ლაგოდეხის მტს-ის დახმარებით მოწყობილია სოფელ ბუდიონოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში. იგი რაიონში პირველი ფერმაა, სადაც მექანიზაცია განხორციელებულია სრული კომპლექსით.

ახალი კაპიტალური სადგომი განკუთვნილია 80 საფურაჟე ძროხისათვის. დადგმულია წყლის ავტომატური სარწყულებლები, ელექტროსაწველი აპარატები, უნივერსალური წიხქვალი, რომელიც ფქვავს სამინდს, ქერს, ყველა სახის საკვებს. სპეციალურ სამჭროში ყურადღებას იპყრობს საკვების დასაორთქლებელი და ძირხვენების სარეცხი მანქანები.

ფერმაში საკვების შემოტანა წარმოებს საჰაერო გზით. ამავე გზით გააქვთ ნაკელი, რომელიც იყრება სპეციალურად მოწყობილ სანაკელეში. აქ ცალკეა სამშობიარო ოთახი, ცალკეა აგრეთვე ოთახი ხბოებისათვის და საიზოლაციო კუთხე. იატაკის მორეცხვა მექანიკურად ხდება. ფერმა უზრუნველყოფილია ელექტროგენერატორით. აქ ჰყავთ წითელი ველის ჯიშის ძროხები. ფერმაში წელს მაღალ პროდუქტიულობას აღწევენ.

კომპლექსური მექანიზაციის განსახორციელებლად კარგად იმუშავა ლაგოდეხის მტს-ის მთავარმა ინჟინერმა გ. ნარინდოშვილმა. მეცხოველეობისათვის საკვების დამზადებაში ამ და სხვა კოლმეურნეობებს ენერგიულად ეხმარება უფროსი ზოოტექნიკოსი ი. ჭანტურია.

ასეთი მექანიზებული ფერმა ეწყობა აგრეთვე სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“.

აბრეშუმის პარკი გეგმის გადამეტებით

სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეებს კარგად აქვთ შესწავლილი ჭიხტაურტლ მეაბრეშუმეთა მდიდარი გამოცდილება. ამიტომ არის, რომ ძერჟინსკელები ყოველთვის დიდი გადამეტებით ასრულებენ აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმას.

კოლმეურნე მეაბრეშუმეებმა წელს გაზაფხულის გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმას 1.000-ზე მეტი კილოგრამით გადაამეტეს. თვითეულ კოლოფზე მიიღეს 54 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი ნაცვლად 45 კილოგრამისა. მეორე ბრიგადამ, რომელსაც ა. გელაშვილი ხელმძღვანელობს, გეგმით გათვალისწინებული 1.395 კილოგრამი პარკის ნაცვლად ჩააბარა 1.800 კილოგრამზე მეტი.

წარმატებანი მოიპოვეს ცალკეულმა მეაბრეშუმეებმა. ქსენია ფედერენკომ 5 გრამ თესლზე ჩააბარა 35 კილოგრამი პარკი ნაცვლად 12 კილოგრამისა. ნორა ლომიძე უფლიდა 10 გრამიდან გამოყვანილ ჭიას. მან ჩააბარა 46 კილოგრამი ნაცვლად 24-სა. ასევე დაწინაურდნენ ნადია ხერდიუკი, თამარ გოგაბაშვილი, დესპინე კორაშვილი და სხვები.

მეაბრეშუმეებს კარგად ეხმარება ცოდნისკარის უბნის მეაბრეშუმე აგრონომი ს. ცოტაძე.

დავალებას ყველა უბანი ასრულებს

ბიათურა. (საკ. კორ.). კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს კოლექტივი საქმით უპასუხებს მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის 28 საწარმოს პატრიოტულ თაოსნობას — ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ამცირებს თვითღირებულებას. მაღაროელებმა გადაჭარბებით შესრულეს მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ხუთი თვის გეგმა და 143.000 მანეთი დაზოგეს. ყველა უბანი გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ივნისში მაღაროს კოლექტივმა 107,5 პროცენტით შეასრულა ორი დეკადის გეგმა, შრომის ნაყოფიერება გაადიდა 5 პროცენტით, ხოლო პირველი ხარისხის მადნის გამოშვება — 6 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს წარჩინებულმა მუშებმა გ. სამხარაძემ, ლ. ჯაჯანიძემ, პ. მეცხოვრიშვილმა, ჯ. ჩიტიძემ, ი. ბოყოველმა და სხვებმა.

მოწინავე მეაბრეშუმეები

ზუგდიდი. (საკ. კორ.). სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობა „კოლხიდის“ წევრი ქალები ყოველწლიურად იღებენ აბრეშუმის პარკის უხვ მოსავალს. განსაკუთრებით დიდი მოსავალია წელს. ახალგაზრდა მეაბრეშუმემ შურა ჯაბუამ 12 გრამი თესლიდან მიღებული ჭია გამოკვება და 87,4 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი მიიღო. დუშა ჯაბუამ 12 გრამიდან სახელმწიფოს 85 კილოგრამი პარკი ჩააბარა. პარკის უხვი მოსავალი მიიღეს აგრეთვე დ. კალანდიამ, ნ. ქადარიამ, ფ. ჯაბუამ და თ. კურდღელიამ.

კოლმეურნეობა „კოლხიდას“ 103 კოლოფის თესლიდან გამოყვანილი ჭია უნდა გამოეკვება. დღეისათვის 93 კოლოფის თვითეული კოლოფი თესლიდან კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ნაცვლად 56 კილოგრამი პარკისა 68,6 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი ჩააბარა და გეგმა 112 პროცენტით შეასრულა.

პარკის ჩაბარება გრძელდება.

გრძელვადიანი სესხი კოლმეურნეობებს

ხაშური. (საკ. კორ.). სასოფლო-სამეურნეო ბანკის ხაშურის განყოფილებამ წელს რაიონის კოლმეურნეობებს უნდა მისცეს გრძელვადიანი სესხი 720 ათასი მანეთი. აქედან მეცხოველეობის განვითარებასა და პირუტყვის სადგომი ბინების მშენებლობაზე გაიცემა 170 ათასი მანეთი, მეთუთეობაზე — 27 ათასი, მევენახეობაზე — 160 ათასი, ელექტროფიკაციაზე — 50 ათასი მანეთი და ა. შ.

დღემდე რაიონის კოლმეურნეობებს მიღებული აქვთ 127 ათასი მანეთი. სოფელ გომის კოლმეურნეობას მიეცა 41 ათასი, კლდისწყაროს კოლმეურნეობას — 11 ათასი, წრომის კოლმეურნეობას — 20 ათასი მანეთი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. მიწათმოქმედების პავილიონი.
ფოტო ნ. გრანოვსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის ყრილობა

2 ივლისს სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა IV ყრილობა მუშაობას განაგრძობდა.

დელეგატები და ყველა დამსწრე მქუხარე და ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ ამხანაგებს კ. ე. ვოროშილოვს, გ. მ. მალენკოვს, ა. ი. მიკოიანს, ვ. მ. მოლოტოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, რომლებიც პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

ყრილობა განაგრძობს ცენტროსოიუზის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვას. დელეგატებმა გააკეთეს ბევრი კრიტიკული შენიშვნა და შეიტანეს პრაქტიკული წინადადებანი, რომელთა მიზანია ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და სოფლის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესება.

ცენტროსოიუზის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღო სულ 56 კაცმა.

ყრილობამ საღამოს სხდომაზე მოისმინა ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარის ი. ს. ხოხლოვის საბოლოო სიტყვა.

ყრილობას მიესალმნენ უცხოეთის ქვეყნების კოოპერაციული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

3 ივლისს სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა IV ყრილობის სხდომა მიმდინარეობდა კრემლის დიდ სასახლეში.

განხილულ იქნა ყრილობის დღის წესრიგის მეორე პუნქტი: ცენტროსოიუზის 1954 წლის 1 იანვრის ბალანსის დამტკიცება და სარევიზიო კომისიის დასკვნა ბალანსის შესახებ. მომხსენებლებმა გ. ა. ბოკოვმა და ი. ტ. ნეფედოვმა აღნიშნეს, რომ ცენტროსოიუზის ყველა სავაჭრო სამმართველომ შეასრულა 1953 წლის საქონელბრუნვისა და მოგების გეგმები. წინა წელთან შედარებით საქონელბრუნვა 18,7 პროცენტით გაიზიდა.

მომხსენებლებმა და ბევრმა დელეგატმა, რომლებიც კამათში გამოვიდნენ ალნიშნეს მთავარ სამმართველოთა მუშაობის არსებითი ნაკლოვანებანი. აგრეთვე გამოითქვა სურვილი გადიდდეს კოოპერაციის წევრთა დაინტერესება იმ გზით, რომ მათთვის დაწესდეს ზოგიერთი უპირატესობა საქონლის გაყიდვის დროს, მოეწყოს კულტურული მომსახურება და სხვ.

ყრილობამ დაამტკიცა ცენტროსოიუზის ბალანსი 1954 წლის 1 იანვრისათვის სამ მილიარდამდე მანეთის ოდენობით და მოგება 213,5 მილიონი მანეთის ოდენობით.

დამტკიცდა აგრეთვე ცენტროსოიუზის 1953 წლის მოგების განაწილება. დიდი სახსრები გადაეცემა კულტურულ ფონდს, მოხმარდება კადრების მომზადების ცენტრალიზებულ ღონისძიებათა დაფინანსებას.

შემდეგ ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას რუსეთის სფსრ სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირი და დაიკისრა მას რუსეთის ფედერაციის სამომხმარებლო კოოპერაციის მთელი ორგანიზაციული, სავაჭრო, სამეურნეო-საფინანსო და დამამზადებელი მუშაობის ხელმძღვანელობა. რუსეთის სფსრ სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირს ეკისრება აგრეთვე საქონლისა და მასალის ყველა ფონდის დაგეგმვა, განაწილება და რეალიზაცია რუსეთის სფსრ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის. ყრილობამ ცენტროსოიუზის გამგეობას დაავალა მოიწვიოს რუსეთის სფსრ სამომხმარებლო კოოპერაციის დამფუძნებელი რესპუბლიკური ყრილობა.

შემდეგ ყრილობამ გადაწყვიტა ზოგიერთი ცვლილება შეიტანოს ცენტროსოიუზის წესდებაში. დაწესებულია სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა საკავშირო ყრილობაზე წარმომადგენლობის ახალი ნორმა — ერთი დელეგატი 25 ათას მეპაიეზე.

ყრილობაზე დიდი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრმა ა. ი. მიკოიანმა.

5 ივლისს ყრილობა მუშაობას განაგრძობს.
(საკდესი).

მეცნიერების განვითარება საქართველოში

საქართველოს მეცნიერების განვითარებას მიეძღვნა 2 ივლისს მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმების სხდომა. სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის მოხსენება და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრის აკადემიკოს ს. ა. ხრისტიანოვიჩის თანამოხსენება. მათ გააკეთეს საქართველოში მეცნიერული მუშაობის თანამედროვე მდგომარეობის მიმოხილვა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო ცენტრია. აღინიშნა მისი წარმატებები მათემატიკის მეცნიერებათა დარგში, განსაკუთრებით დრეკადობის თეორიის დამუშავებაში. ნაყოფიერად მუშაობენ გეოგრაფიის ინსტიტუტი, აბასთუმნის ასტროფიზიკის ობსერვატორია, დიდმნიშვნელოვან გამოკვლევებს აწარმოებენ სამეცნიერო დაწესებულებანი ჰიდრავლიკის დარგში. ბოტანიკის ინსტიტუტმა დაამთავრა ფუნდამენტალური შრომის „საქართველოს ფლორის“ გამოქვეყნება.

სიტყვებსა და ორივე აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებაში მიღწეულებთან ერთად აღნიშნულია ნაკლოვანებანი და უწინარეს ყოვლისა იდეოლოგიური ხასიათის შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ისტორიის ფეოდალური წარსულის იდეალიზაციასთან. ნაკლებ ფასეული შედეგები მოიტანა ჯერჯერობით ისეთი დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული საკითხების კვლევამ, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან.

გადაწყვეტილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით ამაღლდეს თეორიული კვლევის დონე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, აგრეთვე განზოგადდეს მრავალი წლის მეცნიერული მუშაობის შედეგები.

მოსავლის აღება და საკვების დამზადება მოვაწყოთ მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ

★ ★

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ ყველა კოლმეურნე, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები სანიმუშოდ ჩაატარებენ მოსავლის აღებას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებას და ამით დიდ ნაბიჯს გადადგამენ წინ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული უმნიშვნელოვანესი საყოველთაო-სახალხო ამოცანის შესრულების — სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის გზაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებიდან.

★ ★ ★

პურის ჩაბარების წინ

ალაზნის ველზე, შირაქში, ივრის ნაპირებზე დაიწყო პურეულის მკა. ველის ხომალდები შეესიენ ზღვასავით მღელვარე, ოქროსფრად მბზინავ ყანებს. ბუნკერები მალმალ ივსება ახალი მოსავლის პურით. ავტომანქანები გასუწყვეტლივ დაქრიან მინდვრიდან საველე საშრობი ფარდულებისაკენ.

წელს წითელწყაროელი მზვიელ-მთესველები უხვად იმკიან პურს. ბევრ ნაკვეთებზე ჰექტარზე მარცვლეულის საშუალო მოსავალი 30-35 ცენტნერს აღწევს.

გაეცნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას, კოლმეურნეებმა, მექანიზატორებმა მტკიცედ გადაწყვიტეს მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ დაამთავრონ მოსავლის აღება, პირველ რიგში მოიხადონ ვალი სახელმწიფოს წინაშე. ახალი მოსავლის პურით დატვირთული ეტლები უკვე დაიძრა მარცვლეულის დამამზადებელი პუნქტისაკენ.

ზაგოტზერნოს წითელწყაროს დამზადების პუნქტის (დირექტორი შ. ბურაშვილი) მუშაკები პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგანან — მოსავლის აღების დამთავრებამდე უნდა უზრუნველყონ მარცვლეულის ამ რაოდენობით მიღება, რომელიც ერთიორად აღემატება საწყობების ტევადობას. ამიტომ მიღებული პურის დროულად გაზიდვისათვის საჭირო იქნება შრომის სწორი ორგანიზაცია, რაც მოქნილ, უნარიან ხელმძღვანელობას მოითხოვს.

პურის ჩაბარების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე დამთავრდა საწყობებისა და სხვა დამზმარე ნაგებობათა კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, რაზეც 32.900 მანეთი დაიხარჯა. შეკეთდა სასწორები, მარცვლეულის საშენები მანქანები, ტრანსპორტიორები, თვითმიმწოდებელი და სხვა მექანიზმები, დაიდგა ორი ახალი სასწორი, თვითეული 25 ტონის სიმძლავრისა, რითაც თავიდან იქნება აცილებული რიგები და ტრანსპორტის ზედმეტი ფოლდენა.

შარშანდელთან შედარებით წელს უკეთესად მოემზადა პუნქტის ლაბორატორია (გამგე მ. ნადირაშვილი), რომელიც უზრუნველყოფილია ხელსაწყო-არაღებით და გამოცდილი მუშაკებით. აქ ერთი თვით ადრე წესრიგზე ჰქონდათ მოყვანილი მარცვლის ნატურისმზომი და სინჯსტენი გამომრკვევი ხელსაწყოები, ტექნიკური სასწორები და სხვა იარაღები.

წარმატებით იწყო პუნქტთან შექმნილმა მნიშვნელოვანი მოსამზადებელმა კურსებმა (ხელმძღვანელი ა. მშვილდაშვილი), რომელმაც მომზადა და გამოუშვა 8 კაცი.

ბაგრამ პურის ჩაბარების პირველსავე დღეებში გამომჟღავნდა სერიოზული ნაკლოვანებანი. სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის პირველი განალეწა მარცვლეულით დატვირთული ტრანსპორტი იმ დროს მოვიდა, როცა ყველა საწყობი ჯერ კიდევ სავსებით არ იყო განტვირთული შარშანდელი მოსავლის პურის, სიმინდისა და მზესუმზრისაგან, ხოლო ოთხიდან სამ საწყობში არ მოეხდინათ გაზაცია, ზოგიერთში კი დეზინფექცია. ასეთ საწყობებში პურის ჩაყრა, რასაკვირველია, შეუწყნარებელია.

პუნქტის ხელმძღვანელი მუშაკები სამართლიანად გამოთქვამენ უკმაყოფილებას ტრესტ „სევკავზაგოტსტროის“ წმორის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს (უფროსი ი. გოგიჩვი) მიმართ, რომელმაც გააჭიანურა რემონტი.

პუნქტთან მისასვლელი გზის საკითხი კარგა ხანია აწუხებთ კოლმეურნეობებს, ხოლო თვით პუნქტის ხელმძღვანელებს ეს რატომღაც მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ. შარშან წვიმიან ამინდებში გზაზე გაუვალი ტალახი დგებოდა. მანქანებს უჭირდათ სასწორამდე მისვლა. გამყოლები იძულებული იყვნენ ზურგით ეზიდათ საგზე ტომრები. ეს აფერხებდა პურის ჩაბარებას, ქმნიდა რიგებს და უწესრიგობას. შარშანდელი მწარე მაგალითიდან დასკვნები არც წელს გამოუტანიათ. დაახლოებით 50 მეტრ მანძილზე დაყარეს ხრეში და საქმე დამთავრებულად ჩათვალეს.

ახალი სასწორებიდან საწყობებამდე კარგა დიდი მანძილია. აქედან უმოკლესი გზა საშენი მასალითა და მშენებლობის ნარჩენებით არის მოფენილი. არც შორიდან მოსავლელი გზაა კეთილმოწყობილი. წვიმის დროს ტრანსპორტი აქ ფაქტიურად ვერ იმოძრავებს. ასეთ შემთხვევაში ამ სასწორებზე მიღებას შეეწყვეტთო, — აშბობენ პუნქტის ხელმძღვანელები. საკითხავია, თუ არ გამოიყენებდნენ, მაშ რაღად დადგეს ახალი, მძლავრი სასწორები?

ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება, წინასწარი პროფილაქტიკის უზრუნველყოფა პუნქტის დირექციის, თვითეული მუშაკის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. მაგრამ პუნქტს ჯერ კიდევ არა აქვს საკმარისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. სხვას რომ თავი დავანებოთ, დაცვის უფროსმა ნ. მარსაგიშვილმა ისიც ვერ მოახერხა, რომ კასრები წყლით შეეესო და საწყობებთან ქვიშა მიეზიდა.

მაღე მასობრივად გაჩაღდება პურის ჩაბარება. აღნიშნულ ნაკლოვანებათა დროული გამოსწორება გადაწყვეტს მარცვლეულის წარმატებით მიღების ბეღს.

გ. ოქრუაშვილი,
გ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის ფერმის მწყემსებს აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას. კოლმეურნეობის აგიტატორი დ. იაკობაშვილი ფოტო შ. გოქაძისა.

★ ★

აღვკვეთოთ მარცვლეულის დანაკარგები

გარდაბნის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე დიდი გამოცოცხლებაა. ველის ხომალდები პურეულის ყანებში შეიჭრნენ. 1 ივლისიდან მასობრივად გაჩაღდა პურის მკა. მას წინ უძღოდა ქერის აღება. ეს სამუშაო დასასრულს უახლოვდება. სოფელ ნაზარლოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ რაიონში პურეულის მოსავლის აღება პირველმა დაიწყო. ამ კოლმეურნეობის ნაკვეთზე მოწინავე კომბაინერმა ი. ისმაილოვმა ერთ კვირაში „სტალინეც-6“-ით მომკა 128 ჰექტარი და გალეწა 200 ტონა ხორბალი.

ამავე პერიოდისათვის წარჩინებულმა კომბაინერმა ა. მუსაევმა, რომელიც სოფელ ქესალოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთში მუშაობს, 130 ჰექტარზე მეტი პური აიღო. იგი დღეში საშუალოდ 18 ჰექტარს იღებს და ჰექტარზე ლეწავს 15 ცენტნერ ხორბალს, ცალკეულ დღეებში კი მკის 22 ჰექტარს და ჰექტარზე ლეწავს 20-მდე ცენტნერს. მან ვალდებულება იკისრა 20 სამუშაო დღეში პურის მოსავალი აიღოს 400 ჰექტარზე.

სამგორის მტს-ის ზონაში ყველაზე მოწინავეა ახალგაზრდა კომბაინერი გ. ჩოკოშვილი. 6 დღეში მან სოფელ ყარათალელის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში 90 ჰექტარამდე პური მომკა.

პირველსავე კვირაში რაიონის კოლმეურნეობებში აღებულია 1.000 ჰექტარზე მეტი ხორბალი. მოსაწონია ისიც, რომ რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობათა ნაკვეთებში პურის მოსავლის აღების პარალელურად შეუდგნენ ნაწვერალის ქვეშ აღმოცენებული ზალახის (სამყურას) ნამჯასთან ერთად სათიბი მანქანებით აღებას, რითაც ქმნიან პირუტყვის მტკიცე საკვებ ბაზას.

მოსავლის აღების სეზონისათვის კარგად მოემზადა ზაგოტზერნოს გარდაბნის პუნქტი (დირექტორი ფ. ისმაილოვი). აქ ხორბლის საწყობები კარგად შეაკეთეს და შეათვრეს, გაუკეთეს დეზინფექცია, წესრიგზე მოიყვანეს მარცვლეულის შესამოწმებელი ლაბორატორია და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, სასწორები, პუნქტთან მისასვლელი გზები. ზაგოტზერნოს გარდაბნის პუნქტისაკენ უკვე დაიძრა ხორბლით დატვირთულ ავტომანქანათა კოლონები. ერთ კვირაში კოლმეურნეობებმა ზაგოტზერნოს პუნქტებს 40 ტონა ხორბალი ჩაბარეს.

მოსავლის აღების პირველ დღეებში სერიოზულმა ნაკლოვანებებმაც იჩინა თავი. რაიონის ხელმძღვანელები პურის აღების მაღალი ტემპით გატაცებამ მეორე უკიდურესობამდე მიიყვანა: ნაკლები ყურადღება ექცევა ხორბლის აღება-გალეწვისა და გაწმენდის ხარისხს; მარცვლეულის დანაკარგებთან ბრძოლას. ამასთან ყველა კომბაინი როდი მუშაობს სრული დატვირთვით. მაგალითად, გარდაბნის მტს-ის კომბაინერს მ. ისმაილოვს მოსავლის აღების დაწყებამდე ჩაუბარეს სამგორის მტს-ში შეკეთებული № 3 კომბაინი — „სტალინეც-6“. შეკეთება იმდენად დაბალხარისხოვანი აღმოჩნდა, რომ კომბაინს ხელმეორედ დასჭირდა კაპიტალური რემონტი, რამაც 20 დღე შეიწირა. 26 ივნისს კომბაინი მოსავლის აღებად გავიდა სოფელ გარდაბნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთში, მაგრამ კვლავ რამდენიმე ტექნიკური დეფექტი აღმოაჩინა და სამ დღეს უმოქმედოდ იდგა. ამ მიზეზით კომბაინერმა ისმაილოვმა შვიდ დღეში მხოლოდ 65 ჰექტარზე აიღო ხორბლის მოსავალი.

სოფელ აღთაღლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთზე 2 ივლისს კომბაინერი ლ. მატეოსოვი პურეულს 40 სანტიმეტრზე მაღლა ჭრიდა, ამასთან ადგილ-ადგილ ხარვეზებსაც ტოვებდა. ამ ფაქტს დუმილით შესცქეროდა კოლმეურნეობის გამგეობის წევრი ა. მუსაევი. აღებულ ფართობზე ბევრი თავთავია დარჩენილი, აკრეფისათვის კი თავს არავინ იწუხებს. ამავე კოლმეურნეობის კალო პრიმიტიულად არის მოწყობილი. აქ ხორბლის გაწმენდა-დამუშავება ისევ ძველებურად ხდება. კალოზე 3 დღის მანძილზე სქლად ეყარა ხორბლის ნალეგი და იგი სინესტის მიზეზით ვერ წაიღეს ზაგოტზერნოს მომღებ პუნქტში.

მარცვლეულის დანაკარგების აღსაკვეთად ასევე სუსტად იბრძვიან რაიონის სხვა კოლმეურნეობებშიც. არც ერთ კოლმეურნეობას არა აქვს აგებული გადახურული კალოები, კეთილმოწყობილი საველე ბანაკები. კალოებზე არსად არ არის გამოყენებული მარცვლეულის გაწმენდის კომპლექსური მექანიზაცია. განსაკუთრებით მოისუსტებს მარცვლეულის გაშრობის, გახმობის, დატვირთვისა და სხვა სამუშაოთა მექანიზაცია. ეს უმთავრესად საჭირო მანქანების უქონლობით არის გამოწვეული, მაგრამ არსებულ იარაღმანქანებსაც გონივრულად არ იყენებენ. მაგალითად, სოფელ ქესალოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კალოზე მარცვლეულის დამბარისხებელ მანქანა „ვიმს“ მხოლოდ ღამით ამუშავებენ იმის გამო, რომ ტრაქტორი, რომლითაც ეს მანქანა მუშაობს, დღისით სხვა სამუშაოებს ასრულებს. ამასთან არაწესიერი მომსახურებით „ვიმს“ უხარისხოდ აწმენდინებენ ხორბალს. კალოზე ტომრებში ჩაუყრელი და ზაგოტზერნოს პუნქტში გასაგზავნად გამზადებული ხორბალი შემოწმებისას დანაგვიანებული აღმოჩნდა. ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ აღნიშნულ კოლმეურნეობას ზაგოტზერნოს გარდაბნის მიმღებმა პუნქტმა 6 ტონამდე ხორბალი უკან დაუბრუნა.

საჭიროა რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ მოსავლის აღების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით საჭიროა დანაკარგების სასწრაფოდ აღკვეთა. უამისოდ შეუძლებელია იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების ღირსეულად შესრულება, რომლებიც ჩვენს წინაშე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიული დადგენილებით არის დასახული.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საბჭოთა აჭარა ემზადება სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

ვინც ასახელა სამშობლო დიდი,
გმირული შრომის ძაღა გვაჩვენა,
გამოფენაზე მოსკოვში მიდის,
მიაქვს დიდება და გამარჯვება.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი დახმარებისა და მზრუნველობის შედეგად აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სუბტროპიკული, ტექნიკური და სხვა კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდებისათვის ბრძოლაში. ყოველწლიურად იზრდება აჭარის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება.

შარშან აჭარის მშრომელებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 18.847 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 821 ათასი კილოგრამით მეტი, ვიდრე წინა წელს. მეჩაიეებმა საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს 4.022 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 143 კილოგრამით მეტი, ვიდრე 1952 წელს. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის თამბაქოსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების და მეცხოველეობის განვითარების გეგმები.

სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა ციტრუსოვანთა პლანტაციების გაშენებისა და მოვლისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის. ამჟამად ციტრუსოვანთა ნარგავებს აჭარაში 10.198 ჰექტარი უკავია, ე. ი. 2.430 ჰექტარით მეტი, ვიდრე 1940 წელს.

ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების ეკონომიკაში სერიოზული ადგილი უჭირავს მევენახეობას. იგი შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. შარშან აჭარაში გაშენდა 38,4 ჰექტარი ვენახი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 ჰექტარისა, ამასთან ბევრ კოლმეურნეობაში ვენახს კარგად მოუარეს და ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს. საშუალოდ ჰექტარზე რესპუბლიკაში მიღებულია 56 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერისა. 1954-1955 წლებში მაღალმთიან რაიონებში 270 ჰექტარი ახალი ვენახი გაშენდება და მათი ფართობი 508 ჰექტარს მიაღწევს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას მუდმივმოქმედი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობის შესახებ აჭარის კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ.

აჭარის ასს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს წელს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 1 მილიონი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, სახელმწიფოს ჩაბარონ 250 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, გადაჭარბებით შეასრულონ ვენახის გაშენების გეგმა, ჰექტარზე მოიყვანონ სულ ცოტა 60 ცენტნერი ყურძენი და 35 ცენტნერი ხილი, გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 200 ტონა ტუნგოს ნაყოფი, ამდენივე ტონა ხმელი თამბაქო, საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 18 ცენტნერი სიმინდი, მნიშვნელოვნად აამაღლონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

1954 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატები არიან ქობულეთისა და ბათუმის რაიონები. გარდა ამისა, შერჩეულია 12 კოლმეურნეობა, 4 საბჭოთა მეურნეობა, 2 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, 12 კოლმეურნეობის თავმჯდომარე, 4 საბჭოთა მეურნეობის დირექტორი და 2 აგროსაწარმოო განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის 68 სპეციალისტი, პარტიული, კომკავშირული და საბჭოთა 29 მუშაკი, კოლმეურნეობათა 23 ბრიგადირი, 26 მერგოლური, 28 კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობის 21 ბრიგადირი, 66 მუშა და 16 სპეციალისტი.

ფართო ჩვენებით გამოფენის კანდიდატებად წარდგენილი არიან ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის, სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის, სოფელ ქვედა ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობები, სტალინის სახელობის ოჩხამურის ჩაის და ციხისძირის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობები და სხვ.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის ფართო მაჩვენებლებით სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატად წარდგენილმა ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ 85 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე გასულ წელს 5.785 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოიყვანა. გამოფენის კანდიდატებად წარდგენილი არიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. თამაზაშვილი, აგრონომი ხ. მანელიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი რ. კონცელიძე. ამავე კოლმეურნეობიდან გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი გული ჯინჭარაძე, რომელსაც უკვე მთელი რიგი წლების განმავლობაში ჩაის მაღალი მოსავალი მოჰყავს, ხოლო შარშან ერთ ჰექტარზე უზრუნველყო 14.185 კილოგრამი ჩაის ფოთლის მოყვანა, აქედან პირადად მან მოკრიფა 8.735 კილოგრამი.

სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. ლავასაძი, აგრონომი გ. ანდრიადი, პარტბიუროს მდივანი ო. ლაზარიდი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ტ. ამირიდი გამოფენის კანდიდატები არიან. ამ კოლმეურნეობამ შარშან 162 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.799 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამაც, საიდანაც გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად წარდგენილი არიან კოლმეურნეობის აგრონომი შ. ცეცხლაძე, პარტბიუროს მდივანი ბ. ბაჯელიძე, ბრიგადირი მ. ბაჯელიძე, ჩაის უხვი მოსავლის ოსტატები სოციალისტური შრომის გმირები ა. ყიფავაძე და მ. გოგიტიძე. წელს ხუცუბნელი კოლმეურნეები უკეთესი მაჩვენებლებისათვის იბრძვიან. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა მოკრიფონ 840 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ საშუალოდ ერთ ჰექტარზე მოიყვანონ 520 კილოგრამით მეტი, ვიდრე შარშან.

ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის და ბათუმის რაიონის ხელვაჩაურის კოლმეურნეობებმა უზრუნველყვეს ციტრუსოვანთა უხვი მოსავლის მიღება. გამოფენის კანდიდატებად წარდგენილი არიან კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი კ. მეგრელიძე, აგრონომი ნ. ჩხარტიშვილი, ბრიგადირი ქ. შავიშვილი, რომლებმაც 8.111 ძირი ციტრუსოვანი ხიდან უზრუნველყვეს თვითეულზე 464 ცალი ნაყოფის მიღება, ხოლო ამავე კოლმეურნეობის მერგოლური დ. ბერიძე იმისათვის, რომ 1.220 ძირი ნარგავის თვითეულ ხეზე მოიყვანა 681 ცალი მანდარინის ნაყოფი.

ბათუმის რაიონის სოფელ ხელვაჩაურის კოლმეურნეობიდან გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს ბრიგადირი მ. კაკაბაძე, რომელმაც 2.800 ძირი ნარგავის თვითეულ ხეზე 1.182 ცალი ნაყოფი მიიღო და კოლმეურნე დ. თურმანიძე, რომელმაც 350 ხიდან თვითეულზე 1.080 ცალი ნაყოფი მოკრიფა, ხოლო მერგოლური ნ. ვარშალომიძე იმისათვის, რომ 530 ძირი ნარგავის თვითეულ ხეზე მოკრიფა 1.182 ცალი მანდარინი.

გარკვეული წარმატებაა მოპოვებული მეცხოველეობის განვითარების საქმეშიც. გასულ წელს ბათუმის რაიონში 747 ძროხიდან საშუალოდ ერთზე 1.464 კილოგრამი რძე მიიღეს. ამავე რაიონის ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 3.059 კილოგრამი რძე. მწველავმა ქალმა გ. ვარშანიძემ 8 ძროხაზე 8 ხმა შეინარჩუნა და საშუალოდ თვითეულ ძროხაზე 4.012 კილოგრამი რძე მიიღო. შ. მაკარიძემ კი 8 ძროხის საშუალო წველადობა 3.893 ლიტრამდე გაზარდა. ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 2.901 კილოგრამი რძე ნაცვლად 2.200-სა. მწველავმა ფ. შიმშანიძემ 9 ძროხაზე 26.575 კილოგრამი რძე მიიღო, რაც 6.000 ლიტრით აღემატება გეგმას. მეხბორე მ. ნიანიდიმ 6 თვის ასაკამდე 41 ხბო გაზარდა, თვითეულის სადღეღამისო მატება 550 გრამს შეადგენს. ანალოგიური მაჩვენებლები აქვს ბათუმის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობასაც.

სტალინის სახელობის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა მონაწილეობდა 1939-1940 წლების სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში. შემდგომ წლებში ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობამ სისტემატურად გააუმჯობესა პლანტაციის მოვლა. შარშან მეურნეობამ 2.600 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. 500 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გასულ წელს მიღებულია 5.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად 5.100 კილოგრამისა. ამ წარმატებებისათვის მეურნეობა გამოფენაზე წარდგენილია ფართო ჩვენებით.

წლების განმავლობაში აჭარაში ნაკლები ყურადღება ექცეოდა ერთწლიანი კულტურების განვითარებას. პარტიისა და მთავრობის ახალ დადგენილებათა შესაბამისად წელს უფრო მოკლე ვადებში და უკეთესი ხარისხით მოეწყო სიმინდის თესვა, ამასთან მნიშვნელოვან ფართობზე — 1.160 ჰექტარზე დაითესა კვადრატულ-ბუდობრივი წესით. წელს საგრძნობლად გაიზარდა საკვები კულტურების ფართობიც და გაუმჯობესდა მათი დამუშავების ხარისხი.

მიუხედავად მოპოვებული მიღწევებისა, ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია, რომლებიც მნიშვნელოვნად უკან სწევენ საერთო მაჩვენებლებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დღემდე დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია აჭარის მთიანი რაიონების ჩამორჩენა. მათ გააჭიანურეს თამბაქოსა და კარტოფილის რგვა. აღმოფხვრილი არ არის ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების აგროტექნიკური წესების და ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის ფაქტები. ბევრგან სათანადო დონეზე არ დგას შრომის ორგანიზაცია, მოისუსტებს დისციპლინა, ზოგან ვხვდებით სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის შემთხვევებს.

ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სასწრაფოდ აღმოვფხვრათ ეს ნაკლოვანებანი, სანიმუშოდ მოვუაროთ ნათესებს, გადაჭრით გავაძლიეროთ ჩაის კრეფის ტემპი, მთელი ძალები დავრაზმოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მკვეთრი აღმავლობისათვის, მივაღწიოთ მომავალ წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლებით მონაწილეობას.

ეჭვი არ არის, რომ აჭარის მშრომელები ძალასა და ენერგიას არ დაზოგავენ, რათა სასახელოდ გაანაღდონ ნაკისრი ვალდებულებანი და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებაში.

ა. თხილაიშვილი,
აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

თბილისელ მშენებლებს დახმარება ესაჭიროებათ

თბილისმშენი, რომელიც საქართველოს სსრ სახბინათა-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში შედის და ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთი მძლავრი და დიდი სამშენებლო ტრესტია, წელს ქალაქში 60-მდე დიდ სამშენებლო ობიექტზე მუშაობს. მარტო ამ სამიც მშენებლობაზე ტრესტის კოლექტივმა წელს უნდა აითვისოს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი.

თბილისმშენის კოლექტივისათვის წელს შესასრულებლად დაკისრებულ სამუშაოთა შორის ყველაზე რთული და პასუხსაგებია სანაპირო ქუჩათა საყრდენი კედლის მშენებლობა, ფეკალური და სანიაღვრე კოლექტორების გაყვანა, მთელ რიგ იმ სამუშაოთა შესრულება, უორმლისრდაც შეუძლებელი იქნება ორთაჭალპესის ამუშავება. მარტო ამ სამშენებლო სამუშაოთა შესასრულებლად წელს ასათვისებელია საგრძნობი თანხა — 7.177.000 მანეთი.

მეორე მეტად სასწრაფო და პასუხსაგები საქმეა სასკოლო შენობების აგების დამთავრება სასწავლო წლისათვის. გარდა ამ ობიექტებისა, თბილისმშენის კოლექტივი აშენებს ფიზკულტურის ინსტიტუტის კომპლექსს ვაკეში, სტადიონს იქვე, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის საფასადო კორპუსს, იწყებს საოპერო თეატრის შენობის კაპიტალურ რემონტს, განაგრძობს ბანოს ორი შენობის აგებას, საბაფხულო კინოთეატრების და მრავალი ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას.

თბილისმშენის კოლექტივს დააკისრეს მეტად პასუხსაგები და ამასთან საამაყო ამოცანა — ლენინის მოედანზე ვ. ი. ლენინის ძეგლის აგება. ეს დიდი დავალება მშენებლებმა ნიიდეს როგორც მეტად სპეციალური დავალება, საკუთარი ღირსების ამოცანა.

არამეკეს თუ არა თავს თბილისმშენი ყველა ამ სამუშაოს? სრული გულწრფელობით უნდა ვაღიაროთ, რომ ტრესტის კოლექტივს შეუძლია ყველა ამ დავალებას თავი გაართვას, თუ დაინტერესებული ორგანიზაციების მხრივ დახმარება და მხარდაჭერა ექნება. მაგრამ მშენებლები მთგან ვერ გრძნობენ დახმარებასა და მხარდაჭერას, სამაგიეროდ ერთობ მწვავედ განიცდიან დაინტერესებული ორგანიზაციების — დამკვეთლების მხრივ გულგრილობას.

წელს განვლილ ხუთ თვეში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა ტრესტმა 34 პროცენტით შეასრულა. ეს იმიტომ, რომ ცუდად იმუშავეს თბილისმშენის სუბმოიჯარადრეებმა — იმავე საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროს ისეთმა ტრესტებმა, როგორიც არის „საქტექმონტაჟის“ ტრესტი, ელექტროსამონტაჟო ტრესტი და სხვ. მაგალითად, „საქტექმონტაჟმა“ თბილისმშენიდან იჯარით გადაცემული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წლიური გეგმა ხუთ თვეში მხოლოდ 16 პროცენტით შეასრულა.

ძირითად და ყველაზე პასუხსაგებ სამშენებლო ობიექტებზე თბილისმშენის კოლექტივს ახლა ასეთი მდგომარეობა აქვს: რკინაბეტონის საყრდენი კედელი ახალი სანაპირო ქუჩებისათვის ძირითადად უკვე გაყვანილია, დარჩა ორი პატარა მონაკვეთი, რომელთა ამოვსება სულ მოკლე დროში შეიძლება. საკანალიზაციო კოლექტორის მშენებლობა დამთავრებულია 1.086 გრძივ მეტრ მანძილზე. ეს სამუშაო შესასრულებელია კიდევ 338 მეტრზე, რაც აგრეთვე ძიდ დროს არ მოითხოვს. დამთავრებულია სანიაღვრე კოლექტორის მშენებლობა კიბალჩიჩის ხევში და მთავრდება მეორე ასეთივე კოლექტორის ნაგები ლელეთახევში. თუ შეავჯამებთ საკუთრივ მშენებლების მიერ შესრულებულ სამუშაოებს, გამოვა, რომ მშენებლებმა წელს მაინცდამაინც ცუდად არ იმუშავეს. ასე რომ ემუშავნათ მემონტაჟეებსაც, ხუთი თვის შედეგები გაციცხებით უკეთესი იქნებოდა.

მშენებლები ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სასკოლო მშენებლობის დაჩქარებას. უკვე დამთავრდა 21-ე სკოლის შენობაზე ახალი კორპუსის მიშენება (ალეხანოვის პროსპექტზე), მთავრდება და სულ მოკლე დროში დანიშნულებისამებრ ჩავბარებთ ქალთა 37-ე სკოლის შენობაზე მიშენებულ ახალ კორპუსს. აგრეთვე ვადაზე ადრე ავაშენებთ ვაჟთა მე-7 სკოლის შენობაზე მიშენებულ კორპუსს. ამის შემდგომ ვფიქრობთ, მთელი ძალები გადავიყვანოთ ქუთაისისა და კომინტერნის ქუჩებზე დაწყებული ახალი სასკოლო შენობების მშენებლობაზე, რათა უზრუნველყოთ მათი დროზე დამთავრება. აღსანიშნავია ამ ორი სასკოლო შენობის დამპროექტებელთა გულგრილობა თუ უპასუხისმგებლობა. სკოლებისათვის დაპროექტებული იყო თაღოვანი გადახურვა, მაგრამ თურმე თაღების გაანგარიშებისას შეცდომა დაუშვეს. ეს არავის შეუმოწმებია და მშენებლებს ნახაზები ისე გადმოგვცეს. ამან გამოიწვია თაღების ჩამონგრევა. სამუშაო ხელახლა შესასრულებელი გახდა.

როგორც ცნობილია, ვაკის პარკში უკვე რამდენიმე წელიწადია გრძელდება 25-ათასადგილიანი სტადიონის მშენებლობა. ეს მშენებლობაც, რობელიც, უნდა ითქვას, სამარცხვინოდ გაჭიანურდა, მინდობილი აქვს თბილისმშენს. წელს ამ მშენებლობის დასამთავრებლად მთავრობამ გამოჰყო სათანადო თანხა, მაგრამ უკვე ხუთი თვე გავიდა და მშენებლებმა ვერ მიაღწიეს სტადიონის სათამაშო მოედნის პროექტის მიღებას. ახლოდან ახლახან მივიღეთ ეს პროექტი და გადაწყვეტილი გვაქვს, მიუხედავად ასეთი დაგვიანებისა სტადიონის საბოლოოდ მოწყობა წელსვე დავამთავროთ და იგი საეკსპლოატაციოდ გადავცეთ.

უნდა ვაღიაროთ, რომ სამშენებლო სამუშაოებს წელს თბილისმშენის კოლექტივი უკეთესად ასრულებს, ვიდრე წინა წლებში. ეს ინის შედეგია, რომ ჩვენს პრაქტიკაში ფართოდ დანერგეს მოსკოვის და საბჭოთა კავშირის სხვა დიდი ქალაქების მშენებელთა მოწინავე გამოცდილება. უკეთესად მოვაწყეთ სამშენებლო მექანიზმების გამოყენება, ვისწავლეთ სამშენებლო დეტალების ინდუსტრიული მეთოდით დამზადება, ავითვისეთ სამშენებლო სამუშაოთა მოწყობა ჩქაროსნულ-ნაკადური მეთოდით. ამჟამად სატრთალოზე (კომინტერნის ქუჩაზე) ჩქაროსნულ-ნაკადური მეთოდით ვაშენებთ ხუთ საცხოვრებელ სახლს. საქმე სწრაფად მიდის, ხარისხი მაღალია, მექანიზმების კომპლექსური გამოყენების შედეგად სამშენებლო სამუშაოთა თვითღირებულება ნაკლები გამოდის.

თბილისელი მშენებლები მეტ დახმარებას საჭიროებენ უშუალოდ დაინტერესებული ორგანიზაციების მხრივ. წელს თბილისმშენმა უნდა დაამთავროს, გარდა ამ ობიექტებისა, რომლებზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, საავადმყოფოს აგება სატრთალოზე, საბაფხულო კინოთეატრის აგება კომუნარების პარკში, მეორე საბაფხულო კინოთეატრის აგება პლეხანოვის პროსპექტზე, კავშირკაბმულობის სახლის რეკონსტრუქცია, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული სახლი მელიქიშვილის ქუჩაზე, 17 ახალი დიდი საცხოვრებელი სახლის აგება 20.000 კვადრატული მეტრის ფართობით და ა. შ.

თუ მშენებლებს საკუთარ შესაძლებლობათა ამარა მიატოვებენ, საეჭვოა მათ თავი გაართვან ამ რთული ამოცანას. საქმე ის არის, რომ მშენებლებს მრავალი დაბრკოლების გადალახვა უხდებათ საშენი მასალებით მომარაგების საქმეში. უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ თბილისში უმაგალითო მასშტაბით გაშლილი შენებლობის მომარაგება ისეთი ძირითადი საკვები მასალით, როგორიც აგურია, მოწესრიგებული არ არის. აგური თბილისში გაცილებით იმაზე მცირე რაოდენობით კეთდება, ვიდრე მოთხოვნილებაა.

ეს საქმე დაუყოვნებლივ საჭიროებს მოწესრიგებას.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მომმარაგებელი ორგანიზაციები. იმის გამო, რომ თბილისმშენი ხე-ტყის მასალით ვერ მომარაგეს, ორი ახალი სასკოლო შენობა, რომლებსაც აშენებენ, გადაუხურავი გვაქვს. მომარაგების გეგმები შეფარდებული არ არის საშენებლო გეგმებთან. მშენებლებს გარკვეული მასშტაბის სამუშაოთა შესრულება ეკისრებათ, მომმარაგებლები კი გაცილებით ნაკლები რაოდენობით გეგმავენ საშენი მასალების (ხე-ტყე, ცემენტი, აგური, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა) შემოზიდვას. ხშირია შემთხვევა, რომ შენობის აგება დამთავრებულია, ხოლო მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა ფერხდება იმიტომ, რომ არა გვაქვს სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა.

ყოველივე ეს დიდად აფერხებს ჩვენს ქალაქში გაჩაღებულ საბინაო და სამოქალაქო მშენებლობას. ამ საკითხების მოწესრიგება, მომარაგების საქმის მოგვარება თბილისელ მშენებელთათვის გაწეული საუკეთესო დახმარება იქნება.

ა. ჩიტაიშვილი,
ტრესტ თბილისმშენის მმართველი.



სოხუმი. სამგზავრო დიზელელექტრომავალი. „როსია“ შედის პორტში.
ფოტოტიუდი გ. კვირკველიასი.

ახალი დასასვენებელი სახლი

გულრიფში. (საქ. კორ.). ამას წინათ გულრიფშში, ზღვის სანაპიროზე გაიხსნა სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სამინისტროს ახალი დასასვენებელი სახლი, რომელიც ორი კორპუსისაგან შედგება. იგი ერთდროულად ემსახურება 100 კაცს. კულტურული დასვენებისათვის აქ ყოველგვარი პირობებია შექმნილი.

მენავთობეთა დასასვენებელ სახლს აქვს თავისი საკუთარი დამხმარე მეურნეობა, სადაც მოპაყავთ კიტრი, პამიდორი და სხვა ბოსტნეული და ბაღჩეული.

დასასვენებელმა სახლმა უკვე მიიღო დამსვენებელთა ერთი ჯგუფი. მათ შორის არიან მენავთობეები ბაქოდან, გროზნოდან, მაიკოპიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან. დასასვენებელი სახლი დაკომპლექტებულია გამოცდილი სამედიცინო პერსონალით.

ზრუნვა მედიცინის მუშაკთა დასვენებისათვის

მედიცინის მუშაკთა ქუთაისის საქალაქო კომიტეტი განსაკუთრებით ზრუნავს მედიცინის მუშაკთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. დღემდე ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში — სოჭში, გაგრაში, ბორჯომში, შოვსა და სურამში უკვე დასვენა მედიცინის 27 მუშაკმა.

წლის ბოლომდე სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში დასვენებს მედიცინის კიდევ 69 მუშაკი.

ი. გუხაიძე.

საინტერესო კრებული

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში დღითიდღე იზრდება ინტერესი საბჭოთა საჭადრაკო ხელოვნებისადმი, მასობრივი ტირაჟებით გამოდის საბჭოთა გროსმაისტერებისა და ოსტატების პარტიების, აგრეთვე საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების კრებულები.

ამ დღეებში თბილისში მიღებულია საბჭოთა საჭადრაკო კომპოზიტორთა 1948-1950 წლების საუკეთესო ამოცანებისა და ეტიუდების კრებული, შედგენილი დოქტორ გეორგ პაროშის მიერ.

გამოჩენილი საბჭოთა საჭადრაკო კომპოზიტორების ჰ. კასპარიანის, მ. ლიბურკინის, ვ. კოროლკოვის, ლ. ლოშინსკის, ვ. ბორნის, ვ. ჩეხოვერის და სხვათა ამოცანებთან და ეტიუდებთან ერთად კრებულში შეტანილია ნიკიერი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორის გ. ნადარეიშვილის ორი ეტიუდი. ამ ეტიუდთაგან ერთმა 1948 წელს მეხუთე ადგილი დაიკავა ეტიუდების შედგენაში გამოცხადებულ საკავშირო პირველობაზე, ხოლო მეორემ მიიღო II პრიზი საქართველოს რესპუბლიკურ სპორტულ გაზეთ „ლელოს“ მიერ 1950 წ. ჩატარებულ საკავშირო კონკურსში.

კრებულში მოთავსებულია აგრეთვე „ლელოს“ 1950 წლის და საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის 1948 წლის კონკურსებში გამარჯვებულ საჭადრაკო კომპოზიტორთა ამოცანები და ეტიუდები.

დავამყაროთ წესრიგი ბინების განაწილებაში

იზრდება, მშვენიერდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი. მარადმწვანე პარკებითა და ბაღნარებით იფარება ოდესღაც მწირი, გამოფიტული გორაკები, ეშხს რომ უჩრდილავდნენ ლამაზ თბილისს. ქალაქში გამალებული ტემპით მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა, ხარჩოები ხარჩოებს ცვლიან, მწყობრში დგებიან კეთილმოწყობილი ახალი სახლები. უწყებებსა და ინდივიდუალურ მშენებლებს თითქმის „სულ აუთვისებიათ გარეუბნებში სამოსახლო ნაკვეთები, საუცხოო სახლებით დაუფარავთ ვაკე ადგილები და ფერდობებიც. სახლის ჩასადგმელი ადგილიც ძნელი მოსაძებნია...

და მიუხედავად ამისა რედაქციას ისევ მრავალი საჩივარი მოსდის მოქალაქეებისაგან, რომლებიც წლობით აღრიცხულნი არიან თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო განყოფილების მიერ და მოელიან ბინებით დაკმაყოფილებას. ამ მოქალაქეებს დასტობით მოაქვთ რედაქციაში სხვადასხვა თარიღიანი გამაფხრთვებელი დაბრებანი: „აყვანილი ხართ აღრიცხვაზე“, „დაკმაყოფილებული იქნებით პირველი შესაძლებლობისთანავე“, „გათვალისწინებული იქნებით ბინების განაწილების დროს“ და ა. შ.

ზოგჯერ ეს დაბრებები თავიდან მოშორების მიზნით იწერება. ამას მოწმობს არასასიამოვნო სცენები, რომლებიც საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელ მუშაკთა კაბინეტებთან იმართება განსაკუთრებით მაშინ, როცა ბინების განაწილება ხდება და „გათვალისწინებულთა“ ნაცვლად გაუთვალისწინებელნი აღმოჩნდებიან ახალაგებულ სახლებში. უკადოდ აღრიცხულთა და გაწბილებულ გათვალისწინებულთა შესახებ რომ არაფერი ვთქვათ, საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი „გარანტირებულთა“ კატეგორიიდან. სპეციალისტ ამხ. გ. მაჭარაძის, 55 კვადრატულ მეტრ ფართობიანი საუკეთესო ბინა აიღო აღმასკომმა ფელეიშვილის ქუჩის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, და ექვსი სულისაგან შემდგარი მისი ოჯახი დღემდე უბინოდ არის დატოვებული. მოქალაქე ელენე ძიძიგურს სტალინის სახელობის ხიდის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით სანაპიროს ქუჩაზე № 2 სახლში დაუნგრიეს ოთახი და საგარანტიო წერილის თანახმად, რომელაც ხელს აწერს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ეპიტაშვილი, ორი თვის განმავლობაში უნდა მისცემოდა სამაგიერო ოთახი, მაგრამ ორი თვე კი არა, ორი წელიწადი გადის, მისთვის კი ბინა არ მოუცია. ამ მოქალაქეებმა სანიფოდან მოიარეს ყველა ინსტანცია და მაინც უბინოდ არიან. ასეთ მდგომარეობაში ერთეულები რიდია. მათ საგარანტიო წერილებზე დართული მანუგეშებელი დაბრებები და სხვადასხვა ინსტანციიდან მიღებული რეზოლუციებიანი ქაღალდები შეუსრულებელი რჩება.

რაშია საქმე? ნუთუ არ შეიძლებოდა აქამდე ამ მოქალაქეთა დაკმაყოფილება, რომლებმაც ბინები დათმეს და ხელი შეუწყეს ჩვენი დედაქალაქის რეკონსტრუქციას? რედაქციამ ეს საკითხი დააყენა ქალაქის აღმასკომის წინაშე, შედეგად კი მივიღეთ „ჯეუისდამარიგებელი“ პასუხი, რომელსაც ხელს აწერს აღმასკომის საბინაო განყოფილების გამგე ამხ. პ. მუსერიძე. მოგვყავს ამონაწერი:

„საჭირო რედაქციამ გაითვალისწინოს ის, რომ ქალაქ თბილისში საბინაო საკითხი მწვავედ დგას საბინაო ფართობის მცირე რაოდენობის გამო(?) და ამიტომ მოქალაქეების ბინით სასწრაფოდ დაკმაყოფილება ძნელდება...“

ამხ. მუსერიძეს ეურჩევდით გადაეთვალიერებინა სია საბინაო ფონდის მიმტაცებლებისა, რომლებიც ფართობს მამასისხლად აქირავებენ ნათესავის ნიღბით ჩაწერილ მოქალაქეებზე. თავის არქივში იგი ნახავდა ისეთ თანამდებობის პირებსაც, რომლებსაც საკუთარი სახლები აქვთ თბილისში, ბინების განაწილების დროს კი სიაში „უბინაოებად“ ჩაეწერნენ და სამ-სამი და ოთხ-ოთხი ოთახი მიიღეს კომუნალური ფონდიდან. თუ თავის კაბინეტს დატოვებდა და ჩამოვიდოდა რაიონებს, ამხ. მუსერიძეს მისივე ხელქვეითი მუშაკები ბლომად უჩვენებდნენ წლობით დაკეტილ ოთახებს, რომელთა პატრონებს კავშირი გაწყვეტილი აქვთ ქალაქთან, მაგრამ საბინაო ფონდის გამგებელთა ხელშეწყობით მაინც ინარჩუნებენ უფლებას ბინებზე.

მაშასადამე, აქ საბინაო ფართობის სმცირე მოსაშველიებელი „არგუმენტია“. ჩვენ საბინაო ფართობი არც თუ ცოტა გვაქვს, მაგრამ მას ჯერ კიდევ მიზანშეწონილად ვერ ვიყენებთ.

ამის დამადასტურებელი ფაქტების საძებნელად შორს წასვლა არ დაგვჭირდება.

თბილისის წყალსადენის ტრესტის მმართველს ამხ. ე. შარაშენიძეს ხუთი ოთახი ჰქონდა სპეციალისტების სახლში ანაგის ქუჩაზე № 16. მან ეს ბინაც მიატოვა და თავისი ცოლ-შვილიც. მალე მეორე ცოლი შეირთო და უკანასკნელად ცხოვრობდა სტავროპოლის ქუჩაზე № 11 სახლში. ორცოლიან და ორბინიან მოქ. შარაშენიძეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ფოლიაშვილის ქუჩაზე № 34 ახალაშენებულ სახლში კიდევ სამი ოთახი მისცა. თავისი მეორე ბინა სტავროპოლის ქუჩაზე შარაშენიძემ თავის ჯიდაშვილის შვილს გადაუფორმა. სხვა რომ არა ვთქვათ, არის თუ არა ეს ძმაბიჭობა!

მოქ. გაბდანი ცხოვრობდა ჭავჭავაძის ქ. № 18 სახლში. როგორც დადასტურდა, მან თავისი ბინა 26 ათას მანეთად გაყიდა და მალე აღმოჩნდა „გათვალისწინებული“ ახალი ბინების განაწილების დროს და კიდევაც მიიღო ახალაგებულ სახლში (ქამოს ქ. № 26) ორი ოთახი. გაბიანის ბინა ხომ საკმარისი იქნებოდა მოქ. ძიძიგურიასათვის, რომელიც ორი წელია საგარანტიო წერილით ხელში დადის, ჩივის ზემდგომ ორგანოებში და ვერ მიუღწევია თავისი კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.

ასეთივე არაჯანსაღი ამბები ხდება ბინების განაწილების დროს საუწყებო სახლებშიც. საუცხოო სახლი აგია თბილისში ფალიაშვილის ქუჩაზე № 35 საკავშირო მნიშვნელობის ტრესტმა, რომელაც „საქნაკთდამამძიმებელი“ ეწოდება. ამ ტრესტის თანამშრომლები არიან ამხ. ამოტ ფილოიანი და ამხ. დავით მესხი. პირველი მთავარი ბუხჰალტერია, მეორე კი — მანქანის მძღოლი, პარტიის წევრი. ამოტის ოჯახი ორი სულისაგან შედგება, მესამე „სულია“ ნაზბეწვიანი კატა, რომელსაც „ზიტა“ ეწოდება. დავითის ოჯახიც სამი სულისაგან შედგება: თვითონ, მისი მეუღლე და ქალიშვილი, მერვე კლასის მოწაფე ეუეუნა. ამოტს საკუთარი ოროთახიანი ბინა ჰქონდა ლენინის ქ. № 35 სახლში, დავითი კი ბინის მიღების მოლოდინში ნათესავებს აფარებდა თავს. რა მოხდა ბინების განაწილების დროს? მოხდა ის, რომ ამოტ ფილოიანმა ერთი საკუთარი ოთახი 15 ათას მანეთად გაყიდა და 50 მეტრ ფართობიანი ბინა მიიღო ახალ სახლში. ნაზბეწვიანი „ზიტა“ მოხვერდებულ სავარძელში კრუტუნებს ახალ ბინაში, ხოლო ამხ. მესხის ოჯახი შეკედლებულია ამოტისაგან ნაქირავებ 13-მეტრიან ოთახში, სადაც ეუეუნას წიგნების დასალაგებელი ადგილიც არა აქვს.

ახლა დაკეტილი ბინების შესახებ. პეტრიაშვილის ქ. № 6 სახლში 1952 წლის 23 იანვარს გარდაიცვალა მოქ. თამარ კალანდაძე. მას შემდეგ არავის არ უცხოვრია ამ ბინაში, ბინის ქირა შემოდიოდა გარდაცვალებულის სახელზე და ორჯონიკიძის რაიონის საბინაო სამმართველოს მუშაკები თავს ამყრ ... ბინა ენახებოდა ... ბინებს ... ადაც ნათესავს, რომელიც ბათუმში ცხოვრობს და იქვე ... გვესახლებინა ... ლიდი მოქ. შ. მახაშვილი, რომელსაც ომში წასვლისას ბინა დაკარგვია და ახლაც უბინოდ არის.

პირველი მაისის ქ. № 19 სახლში ორი ოთახი სამი წელია დაკეტილი აქვს მოქ. ი. ლაზარევს, რომელიც ცხოვრობს ცოლთან ლერმონტოვის ქუჩაზე № 15 სახლში.

სამღებროს ქ. № 19 სახლში 25 კვ. მეტრი ერთი ოთახი ორი წლის განმავლობაში დაკეტილი ჰქონდა მოქ. ი. მორდხაშვილს, რომელიც თავისი ცოლ-შვილით ცხოვრობს კერძო სახლში მიასნიკოვის შეს. № 8. საბინაო სამმართველოს მუშაკებმა მოქ. მორდხაშვილს იმოდენი პატივი სცეს, რომ ამ მოკლე ხნის წინათ ცოლისამა და სიდედრი ჩაუწერეს ბინაში. პუშკინის ქ. № 11 სახლში ერთი ოთახი დაკეტილი აქვს მოქ. ვ. მარტიროსოვს, რომელიც ცოლ-შვილით ცხოვრობს ცოლის მშობლებთან პაპანინის ქუჩაზე.

დასასრულ ვილაპარაკოთ იმ ამხანაგების ბინების შესახებ, რომლებიც სხვა ქალაქებში მუშაობენ და თბილისში ბინები აქვთ, ან კიდევ ნათესავებისათვის დაუტოვებიათ. მარტო ორჯონიკიძის რაიონში 30-მდე ასეთი ბინაა, რაც სავსებით საკმარისი იქნებოდა თუნდაც „გაწბილებულ „გარანტირებულთა“ დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც წლების განმავლობაში დაპირებებით ჰკვებავენ საბინაო ფონდის მესვეურნი. ხომ შეიძლება, რომ ვთხოვოთ ამ ამხანაგებს თუნდაც დროებით დაგვითმონ თავიანთი ბინები. ისინი ხომ რაიონებში ან სხვა ქალაქებში მუშაობენ და ცხოვრობენ. ჩვენც ორიოდე წელი დაგვჭირდება საბინაო მეურნეობაში მდგომარეობის გამოსასწორებლად. ახლა მათ დაეუფლოთ საგარანტიო ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ როცა ისინი დედაქალაქში დაბრუნდებიან სამუშაოდ, უზრუნველყოფილი იქნებიან ბინებით. აი, მაგალითად, ამხ. შ. გარდაფხაძეს, რომელიც ესენტუკში მუშაობს, რათ უნდა ჰქონდეს დაკეტილი 3 ოთახი ფალიაშვილის ქუჩაზე! ოთხ ოთახს სრულიად გაუმართლებლად ვუნახავთ ლენინის ქ. № 63 სახლში ამხ. ხაჩატურ ვოქტანოვს, რომელიც ქ. ერევანში მუშაობს. თავისუფლად შეგვიძლია გამოვედავოთ ორ ოთახზე მიასნიკოვის ქ. № 61 სახლში მოქ. მინადორა დავითის ასულ გიგინეიშვილს, რომელიც რაიონში ცხოვრობს, ხოლო თავისი ბინა გაქირავებული აქვს.

გრიბოედოვის ქ. № 45 სახლში ერთი ოთახი პირადი ბარათით ირიცხება მოქ. დ. საბაშვილზე, რომელიც მუშაობს მახარაძის რაიონში. საბინაო წიგნიდან იგი ამოწერილია 1952 წლის აგვისტოდან. ოთახი ახლაც დაკეტილია.

რამდენ ასეთ ბინას ვნახავთ, თუ ჩამოვიარეთ თბილისის ყველა რაიონს. საბინაო სამმართველოების მუშაკები კი გულხელდაკრეფილნი უყურებენ ასეთ ფაქტებს და ერთხელაც არ დაუყენებიათ საკითხი დაკეტილი ბინების გამოყენების შესახებ.

როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, საბინაო ფართობი ჩვენ არც თუ მცირე გვქონია. საქმე ის არის, რომ საბინაო ფონდის მოგვლა-პატრონობაში, მის წესიერ განაწილებაში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი.

დროა დავამყაროთ მტკიცე წესრიგი საბინაო ფონდის განაწილებაში.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის მკითხველი ზესტაფონის რაიონიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში გვწერდა სადგურ შორაპნის რესტორანში ნათესავების მოკალათების შესახებ. კორესპონდენცია შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა ამიერკავკასიის რკინიგზის რესტორანების და ბუფეტების ტრესტის მმართველს.

როგორც ტრესტის მმართველის მოადგილე კადრების დარგში ამხ. ავანესოვი გვატყობინებს, კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. ტრესტის ხელმძღვანელობამ 1954 წლის 5 აპრილის ბრძანებით სადგურ შორაპნის რესტორანის დირექტორს გ. ლებანიძეს ნათესაური პრინციპის ნიშნით კადრების შერჩევის დაშვებისათვის გამოუცხადა საყვედური. მასვე მიეცა წინადადება გაათავისუფლოს რესტორანის ის მუშაკები, რომლებსაც მასთან ნათესაური კავშირი აქვთ.

კორესპონდენციის შემოწმების პროცესში საბუშაოდან გათავისუფლებულ იქნენ სადგურ შორაპნის რესტორანის დირექტორის გ. ლებანიძის ნათესავები — ჭაათურის ბუფეტის საწყობის გამგე ი. კაციტაძე და ბუფეტის მომუშავე ა. კაციტაძე.

ყაზახური ლიტერატურის უძველესი

ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ყაზახური ლიტერატურის უძველესი ფიგურა აბაი კუნანბაევი, მაგრამ იგი ცოცხლობს ჩვენთან და იცოცხლებს მომავალ თაობებში.

აბაი იმ პერიოდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა (1845-1904 წლები), როცა ბურჟუაზიული ეკონომიკის ზეგავლენით დაიწყო ყაზახთა ველებში გამეფებული ფეოდალურ-პატრიარქალური ურთიერთობის რღვევა, როცა ყაზახმა ხალხმა ნებაყოფლობით დაუკავშირა თავისი ბედი რუსეთს, რამაც უდიდესი დადებითი როლი შეასრულა მის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. მომთაბარე ტომების ნატურალურ მეურნეობაში შეაღწია ფულმა, ყაზახეთის თვალუწვდენ სივრცეებზე რუსი გლეხები სახლდებოდნენ. ვითარდებოდა მიწათმოქმედება, ვაჭრობა, ჩნდებოდა მრეწველობის პირველი კერები, რუსული მოწინავე კულტურა აღწევდა ყაზახეთის შორეულ ველებში.

სწორედ ამ პირობებში ყალიბდებოდა განმანათლებელი პოეტის შეხედულებანი და პოეტური ნიჭი. აბაი გახდა თავისი ხალხის მისწრაფებათა გამომხატველი, ხალხისა, რომელსაც სწყურდა პროგრესი, გახდა მისი მრჩეველი, მეგობარი, მასწავლებელი.

ფეოდალური ოჯახიდან გამოსულმა აბაიმ სწრაფად გაწყვიტა კავშირი თავის ოჯახთან. იგი აკვირდებოდა მშობლიური ხალხის მძიმე ცხოვრებას და ამ ხალხის ინტერესებისათვის, მისი ბედნიერებისათვის აქტიურ ბრძოლას მიუძღვნა თავისი პოეზია.

პოეტის მეგობრები და მასწავლებლები იყვნენ რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები. აბაიმ სემიპალატინსკში გაიცნო ყაზახეთში გადასახლებული რევოლუციონერები, ნ. გ. ჩერნიშევსკის მიმდევრები — ე. პ. მიხაელისი, ნ. ი. დოლგოპოლოვი და სხვები. თვითგანათლების გზით აბაი დაეუფლა რუსულ ენას და განსაკუთრებული გატაცებითა და აღფრთოვანებით კითხულობდა პუშკინის, ლერმონტოვის, კრილოვის, სალტიკოვ-შჩედრინის, ლევ ტოლსტოის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, პისარევის ნაწარმოებებს. ყოველივე ამან ხელი შეუწყო განმანათლებელი პოეტის მოწინავე შეხედულებათა ჩამოყალიბებას. სწორედ რუსულმა კულტურამ აუხილა თვალი აბაის და დაანახვა მას სამყარო. აბაიმ შეიგნო ხელოვნების სოციალური არსი, შეითვისა რუსული ლიტერატურის რეალიზმის ტრადიციები.

აბაიმ ღრმად შეიცნო თავისი ხალხის სულიერი კულტურა, სწავლობდა მის სიბრძნეს, მისი ხელოვნების ოსტატობას. მთელი მისი შემოქმედება გამსჭვალულია ხალხური პოეზიით.

აბაი კუნანბაევი კარგად იცნობდა აღმოსავლეთის კულტურას. ბევრი აღმოსავლეთელი პოეტისაგან განსხვავებით, რომლებმაც პოეზია რელიგიის საქადაგებლად გამოიყენეს, აბაიმ გაბედულად დასცინა რელიგიური კულტების წარმომადგენლებს, ცხადყო მთელი მათი უვიცობა და აქებდა პოეტებს, რომელნიც უმღერდნენ სიყვარულსა და გრძნობათა თავისუფლებას, სოციალურ პროგრესსა და სამართლიანობას.

თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე აბაი წერდა ღრმად სოციალურ ნაწარმოებებს, რომლებიც თანამედროვეობის სასიცოცხლო დიდმნიშვნელოვან პრობლემებს ეხებოდა. თითქოს ყოველად უწყინარ ლექსშიც კი — „ნადირობა სვავით“ მან გამოთქვა უარყოფითი დამოკიდებულება თავისი თანამედროვე საზოგადოების სოციალური წესწყობილებისადმი. კიდევ უფრო აშკარად ისმის გაკიცხვის მოტივი ლექსებში ბუნების შესახებ. ამ ლექსებში პოეტი გვიჩვენებს ღატაკთა უსიხარულო ცხოვრებას, ბაების ველურ სიხარბეს. მაგრამ აბაი ამას ვერ გასცდა. იგი არ მოუწოდებდა თავის ხალხს რევოლუციისაკენ, და ამაში იჩინა თავი მისმა ისტორიულმა შეზღუდულობამ.

აბაის დროს ყაზახთა საზოგადოების განვითარების ცენტრალური პრობლემა გახდა ხალხის განათლების, სასიცოცხლო მნიშვნელობისა და პერსპექტივიანი მოწინავე რუსული კულტურის სულისკვეთებით ხალხის აღზრდის პრობლემა. აი ამიტომ აბაი, ისევე როგორც იმ ეპოქის სხვა გამოჩენილი ადამიანები — ჩოკან ვალიხანოვი, იბრაი ალთინსარინი, ხალხის განმანათლებელი, რუსული კულტურის აქტიური პროპაგანდისტი გახდა. ამ კულტურის კეთილმყოფელ გავლენით მიაღწია რა მაღალ პოეტურ ოსტატობას, აბაი მკაფიოდ განასხვავებდა ერთმანეთისაგან პუშკინისა და ჩერნიშევსკის რუსეთს და ცარიზმის რუსეთს. სწორედ ამიტომ, დაუცხრომლად მოუწოდებს რა რუს ხალხთან მეგობრობისაკენ, მთელ რიგ თავის ლექსებში პოეტი გესლიანად დასცინის თვითმპყრობელური რუსეთის მოხელეებს. თავის ლექსებში — „აი თემის მმართველი გავხდი“, „კულემბაის“ და სხვ. აბაიმ ნაგვანახვა მეფის აგენტების ნამდვილი სახე — მათი გონებაჩლუნგობა, სიხარბე, სიმხდალე და არარაობა, საზიზღარი მაამებლობა უფროსთა წინაშე. ამ ლექსების სატირა მოგვაგონებს შჩედრინისა და გოგოლის მწვავე სატირას.

ფეოდალურ-პ

სსრ კავშირში ატომის ენერგიით პირველი სამრეწველო ელექტროსადგურის ამუშავების გამო

პეკინი, 3 ივლისი. (საკდესი), ჩინელი ხალხი დიდი ინტერესით შეხვდა ცნობას, რომ სსრ კავშირში ამუშავდა პირველი სამრეწველო ელექტროსადგური, რომელიც ატომის ენერგიით მუშაობს. ეს ცნობა გამოაქვეყნა ყველა გაზეთმა, არაერთხელ გადასცეს პეკინის, შანხაის, ტიანძინის, მუკდენისა და ჩინეთის სხვა ქალაქების რადიოსადგურებმა. გაზეთი „გუანმინჟიბაო“ სტატიაში სათაურით „საბჭოთა კავშირში აშენდა მსოფლიოში პირველი ელექტროსადგური, რომელიც ატომის ენერგიით მუშაობს“, აღნიშნავს, რომ მთელი პროგრესული კაცობრიობის ოცნება — ჩაეყენებინა ატომის ენერგია მშვიდობიანი მშენებლობის, კაცობრიობის ბედნიერებისა და აყვავების სამსახურში, განხორციელდა. დღეს დიდი საბჭოთა ხალხის, საბჭოთა მეცნიერებისა და ინჟინრების ღონისძიებათა მეოხებით პირველად იქცა სინამდვილედ ოცნება იმის შესახებ, რომ ატომის ენერგია გადაქცეულიყო მამოძრავებელ ძალად, ატომგულის დაუშრეტელი ენერგია უკვე გამოყენებულია მშვიდობიან მშენებლობაში კაცობრიობის ინტერესებისათვის.

სულ სხვანაირად იყენებენ ატომის ენერგიას შეერთებულ შტატებში. ამერიკის ატომის მრეწველობა, რომელსაც ფაქტიურად კონტროლს უწევენ მორგანის, როკფელერის, მელონისა და დიუპონის მონოპოლისტური ჯგუფები, ატომის ენერგიას ამუშავებს არა მშვიდობიანი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, არამედ მხოლოდ მასობრივი მოსპობის იარაღის დასამზადებლად.

* * *

ფხენიანი, 4 ივლისი. (საკდესი). მოწინავე სტატიაში სათაურით „საბჭოთა მეცნიერების დიდი წარმატება“, გაზეთი „ნოდონ სინმინი“ წერს: „საბჭოთა ხალხმა კიდევ ერთი დიდი გამარჯვება მოიპოვა კომუნიზმის გრანდიოზული მშენებლობის გზაზე. საბჭოთა კავშირის მეცნიერთა და ინჟინერთა ღონისძიებების მეოხებით რეალობად იქცა მშვიდობიანი მიზნებისათვის ატომის ენერგიის გამოყენების შესაძლებლობა. ეს საბჭოთა მეცნიერების ახალი დიდი წარმატებაა, დიდი მოვლენაა მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიაში. ატომის ენერგიის აღმოჩენის შემდეგ იმპერიალისტების მთელი მეცადინეობა მიმართული იყო იმისაკენ, რომ სამხედრო მიზნით გამოეყენებინათ იგი. სსრ კავშირში ატომის ენერგიით ელექტროსადგურის ამუშავება საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის გამარჯვებაა, საბჭოთა კავშირისა, რომელიც თანმიმდევრულად მოითხოვდა ატომის ენერგიის გამოყენებას სამშვიდობო მიზნით. ეს არის მშვიდობის გამარჯვება აგრესიაზე, ომების გამარჯვება ბარბაროსობაზე“.

საავიაციო მიმოსვლა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის

პეკინი, 5 ივლისი. (საკდესი). ჩინეთ-საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიახაზების გახსნის მეოთხე წლისთავთან დაკავშირებით ჩინეთ-საბჭოთა სამოქალაქო ავიაციის აქციონერთა საზოგადოების დირექტორმა შენ დუმ განუცხადა სინხუას სააგენტოს კორესპონდენტს, რომ განვლილი ოთხი წლის მანძილზე ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ავიახაზებით გადაზიდულია 4.700 ტონა ტვირთი, აგრეთვე 1.600 ტონა ფოსტა და გადაყვანილია ათეულ ათასობით მგზავრი, ტრასების სიგრძე ამ ხნის განმავლობაში 17 პროცენტით გაიზარდა.

შენ დუმ აღნიშნა, რომ ავიახაზები ოთხივე წლის მანძილზე გადაჰარბებით ასრულებდნენ ტვირთზიდვის ყოველწლიურ გეგმებს. ამა წლის პირველი ნახევრის ტვირთზიდვის გეგმა შესრულებულია ვადაზე 22 დღით ადრე. ტვირთზიდვის ღირებულება შემცირდა.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ვარშავა, 4 ივლისი. (საკდესი). პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება: 2 და 3 ივლისს ვარშავაში გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმი.

პლენუმმა ერთი წუთი დუმილით პატივი სცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინათ გარდაცვლილი წევრის ზ. მოძელევსკის ხსოვნას.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ზ. ნოვაკმა გააკეთა მოხსენება: „ბიმდინარე ამოცანები სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში, განსაკუთრებით მოცდენილი მიწების გამოყენებისა და მდელოებისა და საძოვრების ათვისების დარგში“.

მოხსენების გარშემო დაიწყო კამათი. პლენუმზე გამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბოლესლავ ბერუტი.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება მოცდენილ მიწების გამოყენებისა და მდელოებისა და საძოვრების ათვისების შესახებ.

ჟენევის თათბირის გარშემო

ჟენევა, 3 ივლისი. (საკდესი). გუშინ გაიმართა 9 დელეგაციის მორიგი დახურული სხდომა, რომელზეც, როგორც იუწყებიან, გრძელდებოდა ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების შესრულებისადმი კონტროლის და მეთვალყურეობის საკითხის განხილვა.

როგორც ცნობილი გახდა ინგლისის დელეგაციის წარმომადგენელმა, რომელიც სხდომაზე გამოვიდა, აღნიშნა, რომ უკანასკნელი სხდომამები მას სასარგებლოდ მიაჩნია იმის გამო, რომ ზოგიერთმა დელეგაციამ მიიღო ღონისძიებანი თათბირის მონაწილეთა თვალსაზრისების დასაახლოებლად. მან განაცხადა, რომ საფრანგეთის დელეგაციამ სასარგებლო წინადადებანი შეიტანა შერეული კომისიისა და ნეიტრალური ქვეყნების კომისიის ურთიერთობის საკითხზე. მაგრამ ინგლისის დელეგაციის წარმომადგენელს არ შეუტანია არაგვიანი პრაქტიკული წინადადება განსახილველ საკითხზე, მან მხოლოდ დაიტოვა უფლება შემდგომ გამოთქვას აზრი იმ საკითხზე, უნდა დაემორჩილოს თუ არა შერეული კომისია ნეიტრალური ქვეყნების კომისიას.

მოკლე განცხადება გააკეთა აგრეთვე საფრანგეთის დელეგაციის წარმომადგენელმა. მას წინა განცხადებებთან შედარებით ახალი არაფერი უთქვამს განსახილველ საკითხზე. ამასთან მან მხარი დაუჭირა ამასაც, რომ გადაიდოს კონტროლისა და მეთვალყურეობის საკითხის განხილვა და დაიწყოს ლოისისა და კამბოჯის საკითხის განხილვა.

ბაო დაის მთავრობის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ ინდოჩინეთში დაზავების საერთაშორისო კონტროლი დაეკისროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ამასთან მან წინადადება შეიტანა, რომ შერეულ კომისიას არ მიენიჭოს ფართო რწმუნებანი და რომ ეს კომისია თავის მუშაობაში დამორჩილოს საერთაშორისო კომისიას.

სსრ კავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა, შეაჯამა რა შედეგები, თუ როგორ განხილვდნენ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში დაზავების შეთანხმების პირობებისადმი კონტროლისა და მეთვალყურეობის საკითხს, აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციის 14 ივნისისა და საფრანგეთის დელეგაციის 25 და 29 ივნისის წინადადებებში ერთმანეთს უახლოვდება თვალსაზრისი ზოგიერთ საკითხზე. ეს უწინარეს ყოვლისა შეეხება შერეული კომისიისა და საერთაშორისო სამეთვალყურეო კომისიის ურთიერთობის საკითხებს. ერთმანეთს უახლოვდება ამ ორი დელეგაციის თვალსაზრისი კომისიის ფუნქციებისა და მოვალეობათა განსაზღვრის საკითხზე, აგრეთვე იმ საკითხზე, რომ საერთაშორისო სამეთვალყურეო კომისიას თავის განკარგულებაში არ უნდა ჰყავდეს შეიარაღებული ძალები თავისი რეკომენდაციების განსახორციელებლად.

ამასთან ერთად სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობის საკითხზე. ამასთან, როგორც იუწყებიან, სსრ კავშირის წარმომადგენელმა საკადრისი პასუხი გასცა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს, რომელიც თავის სიტყვაში 29 ივნისს, იმეორებდა რა ძველ გაცვეთილ არგუმენტებს, ცდილობდა ჩირქი მოეცხო ნეიტრალური ქვეყნების კომისიის მუშაობისათვის კორეაში და ამრიგად დაემტკიცებინა, რომ საერთაშორისო სამეთვალყურეო კომისიამ ინდოჩინეთში იმ შეცდომებანი დაუშვა, რომელიც შეიქმნა სსრ კავშირის დელეგაციის 16 ივნისის წინადადებით, თითქოს ვერ შეძლო ეფექტიანი მუშაობა. სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ნეიტრალური ქვეყნების კომისიის მუშაობას კორეაში გაცილებით მეტი წარმატება ექნებოდა, ამერიკის სარდლობას რომ შეეწყვიტა თავისი ობსტრუქციონისტული პოლიტიკა ამ კომისიის მიმართ. საბჭოთა წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ მხარეები დახმარებას არ გაუწევენ საერთაშორისო სამეთვალყურეო კომისიის მუშაობას, როგორიც უნდა იყოს ამ კომისიის შემადგენლობა, იგი ვერ შეძლებს ეფექტიანად შეასრულოს თავისი ფუნქციები.

არის უთანხმოება აგრეთვე იმაში, თუ რა წესით უნდა მოხდეს კენჭისყრა ნეიტრალური ქვეყნების კომისიაში, როცა წარმოიშობა შეთანხმების სერიოზული დარღვევები, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს საომარი მოქმედების განახლება. სსრ კავშირის წარმომადგენელმა სხდომას მოაგონა საბჭოთა დელეგაციის 14 ივნისის წინადადებანი, რომელთა თანახმად საერთაშორისო სამეთვალყურეო კომისიას თავის რეკომენდაციები უნდა მიეღო არა ხმის უმეტესობით, არამედ ყველა წევრის საერთო თანხმობით, იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია შეთანხმების პირობების სერიოზულ დარღვევებთან, რომლებსაც შეუძლია მოჰყვეს საომარი ოქმედების განახლება.

საფრანგეთის დელეგაციის 25 ივნისის წინადადებებში ნათქვამია, რომ ასეთი დარღვევების წარმოშობის შემთხვევაში საერთაშორისო სამეთვალყურეო კომისიამ უნდა გამოიტანოს თავისი რეკომენდაციები, მაგრამ არ ზუსტდება, რა გზით უნდა მიიღონ ასეთი რეკომენდაციები. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის წარმომადგენელმა სთხოვა საფრანგეთის დელეგაციას გააკეთოს შესაბამისი ახსნა-განმარტება.

9 დელეგაციის შემდეგი დახურული სხდომა ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხზე გაიმართება 6 ივლისს.

ორი სარდლობის წარმომადგენელთა მოლაპარაკება ვიეტნამში

პეკინი, 4 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო, იმოწმებს რა ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობას, იუწყება, რომ დღეს ტუნგ-ჟიაში დაიწყო მოლაპარაკება ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობისა და საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის სარდლობის წარმომადგენლებს შორის.

ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლთა დელეგაციას, რომელიც ხუთი ოფიცრისაგან შედგება, სათავეში უდგას ბრიგადის გენერალი ვან დიენ დუნგი. საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელთა დელეგაციას, რომელშიც რვა ოფიცერი შედის, სათავეში უდგას პოლკოვნიკი ლენიე.

ოტო გროტეოლი სახალხო კენჭისყრის შედეგების შესახებ

პრაღა, 5 ივლისი. (საკდესი). გაზეთებში გამოქვეყნდა ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტის ინტერვიუ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეოლთან სახალხო კენჭისყრის შესახებ.

ილაპარაკა, რა შედეგებზე, რომელიც მოჰყვა სახალხო კენჭისყრას იმ საკითხზე, „თუ რას აძლევენ ხმას — „საზავო ხელშეკრულებასა და საოკუპაციო ჯარების გაყვანას, თუ ხელშეკრულებას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ და „საერთო ხელშეკრულებას“ და საოკუპაციო ჯარების 50 წლით დატოვებას?“, გროტეოლმა თქვა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებმა თავისი ხმის მიცემით გამოთქვეს მისწრაფება მშვიდობისადმი, გამოთქვეს სრული ნდობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკისადმი.

გროტეოლმა აღნიშნა, რომ სახალხო კენჭისყრის შედეგები უეჭველად გამოიღებს სერიოზულ ნაყოფს დასავლეთ გერმანიაში. ეს შედეგები გამოიწვევს ახალ ინიციატივას პატრიოტთა ბრძოლაში „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ პოლიტიკის გერმანელ და ამერიკელ დამცველთა წინააღმდეგ. გროტეოლმა აღნიშნა, რომ სახალხო ძალებმა დასავლეთ გერმანიაში უკვე მოიპოვეს მნიშვნელოვანი წარმატებანი. ერთ-ერთი ასეთი წარმატებაა ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის ლანდტაგის ამასწინანდელი არჩევნები. ამომრჩევლებმა დაგმეს ადენაუერის პოლიტიკის ამერიკული კურსი. ეს, თქვა ოტო გროტეოლმა, დასავლეთ გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების შეშფოთებულობის დასაწყისია. ადენაუერი, რომელმაც განაცხადა, რომ ეს არჩევნები თავისი მნიშვნელობით სახალხო კენჭისყრის უდრისო, თვითონ გახდა იძულებული ეცნო თავისი დამარცხება. სახალხო კენჭისყრა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და არჩევნები ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში ახალი წარმატებებია გერმანელი ხალხის ეროვნული პრობლემების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

ამერიკის ძალის პოლიტიკა ევროპაში, თქვა გროტეოლმა, განწირულია ჩასაფუშავად. ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხებმა ამერიკის სამხედრო ბლოკების საწინააღმდეგოდ დაუპირეს მხარი საბჭოთა კავშირის წინადადებას, რომ დიდოს ხელშეკრულება ევროპაში კოლექტიური უშიშროების შესახებ, და ეჭვი არ არის, რომ ეს წინადადება განხორციელდება.

შემდეგ გროტეოლი შეეხო ადენაუერის რეჟიმის პოლიტიკური კრიზისის საკითხს. მან თქვა, რომ ბონში შეიქმნა ძლიერი ოპოზიცია ადენაუერის წინააღმდეგ. ოპოზიციას ემხრობიან სამხედრო მრეწველები, მხარეთა მთავრობების მინისტრები, დეპუტატები და ადენაუერის მთავრობის წევრებიც კი.

დასასრულ ოტო გროტეოლმა თქვა, რომ თუ მოხერხდა დასავლეთგერმანელი მშრომელების ერთ მოძრაობად გაერთიანება, თუ კომუნისტები, სოციალ-დემოკრატები და ქრისტიან-დემოკრატთა კავშირის წევრი მუშები საერთო ძალებით იბრძოლებენ თავიანთი სოციალური და ეროვნული მოთხოვნებისათვის, როგორც ეს უკვე მოხდა დასავლეთ გერმანიის ბევრ ქალაქში, თუ ისინი შეუერთდებიან მთელ ანტიამერიკულ ძალებს, ადენაუერი კიდევ უფრო გაირიყება და შესაძლებელი გახდება მისი დამხობა. მაშინ აღარ იქნება რაიმე დაბრკოლება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკის, გერმანიაში შეთანხმებისა და ევროპის დანარჩენ ქვეყნებს შორის შეთანხმების პოლიტიკის გზაზე. ადენაუერის დამხობასთან ერთად ჩაიფუშება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“, ხოლო მისი ჩაფუშვა მოაახლოებს გერმანიის გაერთიანებას მშვიდობისა და დემოკრატიის საფუძველზე.

ნერუს განცხადება

დელი, 3 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ინდიან ექსპრესი“ იუწყება, პრემიერ-მინისტრმა ნერუმ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა მასობრივ მიტინგზე ინდოეთ-ტიბეტის საზღვრის რაიონში, მოუწოდა ინდოელ ხალხს ითანამშრომლოს ეროვნული რეკონსტრუქციის საქმეში. „ჩვენ, — თქვა ნერუმ, — მათხოვრები არა ვართ, რომ უცხოეთის სახელმწიფოთა ფინანსურ დახმარებაზე ვიყოთ დამოკიდებული“.

სპორტის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირ-ინგლისის საჭადრაკო მატჩი

ლონდონი, 4 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ გაიმართა სსრ კავშირ-ინგლისის საჭადრაკო მატჩის პირველი ტური. საბჭოთა მოჭადრაკეების გუნდს პირველი გამარჯვება მოუპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ქალთა შორის კირა ზვორიკინამ, რომელმაც კარგი სტილით გაიმარჯვა ინგლისის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკე ქალ ნ. სანიქსზე. გროსმაისტერმა ბრონშტეინმა მარჯვედ შესწირა ფიგურა და ორთელ ბრძოლაში დაამარცხა ოსტატი გოლომბეკი. პეტროსიანმა მოუგო მილნერ-ბერის, ავერბახმა — პეტროზს და ბოლესლავსკიმ — ფეიერპერსტს. მსოფლიოს ჩემპიონმა ელისაბედ ბიკოვამ ძლიერი იერიშით მოუგო ეილინ ტრენმერს.

ოთხი პარტია გადაიდო. სმისლოვს უკეთესი მდგომარეობა აქვს პარტიაში ალექსანდერთან. გელერმა ბრიდენტის წინააღმდეგ და ტაიმანოვმა ბარდენის წინააღმდეგ პოზიციური უპირატესობა მოიპოვეს. უეიდ-კერესის გადადებულ პარტიაში საბჭოთა გროსმაისტერს ზედმეტი პაიკი აქვს.

ოსტატი ა. კონსტანტინოპოლსკი.

საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვება ფინეთში

ჰელსინკი, 3 ივლისი. (საკდესი). გუშინ ქალაქ კოტკაში გაიმართა საბჭოთა გუნდის „ტორპედოს“ (მოსკოვი) და ფინეთის გუნდის ფეხბურთელთა შეხვედრა. ფინეთის გუნდი შედგებოდა სხვადასხვა კლუბების ფეხბურთელებისაგან. თამაში მიმდინარეობდა საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით და დამთავრდა ანგარიშით 9:2 „ტორპედოს“ გუნდის გამარჯვებით.

მსოფლიო პირველობა ფეხბურთში

ბერნი, 4 ივლისი. (საკდესი). დღეს ბერნში გაიმართა ფინალური თამაში მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და დასავლეთ გერმანიის გუნდები. თამაში, რომელიც კოკისპირული წვიმის დროს მიმდინარეობდა, დამთავრდა ანგარიშით 3:2 დასავლეთ გერმანიის გუნდის სასარგებლოდ.

ამრიგად, ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა დასავლეთ გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი. მეორე ადგილი დაიკავა უნგრეთის გუნდმა, მესამე — ავსტრიისამ, მეოთხე — ურუგვაის გუნდმა.

ავტოკროსი

საქართველოს ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „ტორედის“ რესპუბლიკური საბჭო ყოველწლიურად აწყობს ავტოკროსს, რომელიც ერთ-ერთ საინტერესო ასპარეზობას წარმოადგენს.

მიმდინარე წლის ჩემპიონატი გაიმართა ლენინის ტბის მიდამოებში გასულ კვირას, 4 ივლისს. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, წნორის, რუსთავის, ახალციხისა და თელავის ავტოსატრანსპორტო კანტორების, თბილისის ტაქსმოტორების პარკისა და ავტომოტოკლუბის მძღოლებმა გაზ-51 და „პობედის“ მარკის მანქანებით.

ტრასა ძნელად დასაძლევი და რთული იყო. მძღოლებს უწევდა გაევლოთ 6 წრე — 80 კილომეტრი. გაიმართა ორი სტარტი — საბარგო და მსუბუქი მანქანებისათვის. საბარგო მანქანები დატვირთული იყო.

შეჯიბრებაში ჩაბმული საბარგო მანქანების 21 მძღოლიდან გაიმარჯვა შ. მახარაძემ (თბილისი, დრო — 1 საათი, 47 წუთი და 34,2 წამი), მეორე ადგილი დაიკავა ბ. ბაგუაშვილმა (თელავი), მესამე — ლ. ფანგეეემა (თბილისი).

გუნდურ ასპარეზობაში გარდამავალი ჯილდო — თასი მოიპოვა თბილისის ტაქსმოტორის პარკმა. მეორე ადგილი დაიკავა ახალციხის გუნდმა, მესამე — თელავის მძღოლთა კოლექტივმა.

დიდი ინტერესი გამოიწვია მსუბუქი ავტომანქანების — „პობედების“ კროსმა. ამ ასპარეზობაში გაიმარჯვა ს. ბარსეგოვმა (თბილისის ტაქსმოტორის პარკი, დრო — 1 საათი, 21 წუთი და 5,1 წამი). მეორე ადგილი დაიკავა გ. ახვერდოვმა, მესამე — ა. გუნიამ.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ტაქსმოტორის პარკმა, მეორე — ავტომოტოკლუბის გუნდმა.

სურათზე: მსუბუქი ავტომანქანების („პობედა“) კროსის ერთ-ერთი მონაწილე. ზეგით (მარცხნიდან) — შეჯიბრებაში განარჯვებული მძღოლები შ. მახარაძე და ს. ბარსეგოვი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასი

თბილისი. 4 ივლისი. „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა „ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა. თამაშობდნენ თბილისის ოფიცერთა სოლქო სახლისა და ქ. ლენინაბადის გუნდები. შეხვედრა დამთავრდა თბილისის ოფიცერთა სოლქო სახლის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

ერევანი. 4 ივლისი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ პირველი ქვეჯგუფის უძლიერესი გუნდები — ერევნის „სპარტაკი“ და ბაქოს „ნეფტჩანიკი“. საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 0:0.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

თბილისის მ. თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელში 1954-55 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღების პირობები

განცხადებების მიღება გრძელდება 1954 წლის 20 აგვისტომდე. სასწავლებელში მისაღებად საჭიროა წარმოდგენილ იქნას შემდეგი დოკუმენტები: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან და 3 ფოტოსურათი. მოსწავლეები მიიღებიან ა) ქვაზე მხატვრულად ჭრის, ბ) მეავეჯის, გ) საალფრეინო-ფერმწერის სპეციალობაზე.

გამოცდებზე დაშვებული მოსწავლეები უნდა გამოცხადდნენ სასწავლებელში 19 აგვისტოს. გამოცდები ჩატარდება 20-დან 25 აგვისტომდე (ხატვა-ხაზვაში); გამოცდებზე დაიშვებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი 14 წლიდან 17 წლამდე ჩათვლით (ვაჟები). სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმწიფო ხარჯზე ტანსაცმლით, კვებით და სწავლით. მისამართი: ქ. თბილისი, კალინინის სახელობის რაიონი, ჭონქაძის ქ. № 21, თბილისი, მ. თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელი.

საკავშირო პროფსაბჭოს საქართველოს ტურისტული საექსკურსიო სამმართველო ჰყიდის **ბაკურიანის, ფასანაურის, ყაზბეგისა** და **შოვის ტურისტული ბაზებს 10-დღიან საგზურებს.**

თვითეული საგზურის ღირებულებაა 249 მანეთი.

საგზურების შეძენის შესახებ მიმართეთ საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს.

ქ. თბილისი, სულხან-საბას ქ. № 11, ტელეფონი № 3-31-88.

ალ. ფულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1954-1955 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. ენისა და ლიტერატურის: ა) ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება (სპეციალობა: ქართული ენა და ლიტერატურა), ბ) რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილება. (სპეციალობა: რუსული ენა და ლიტერატურა); 2. ისტორიის; 3. ფიზიკა-მათემატიკის (სპეციალობა: მათემატიკა და ფიზიკა); 4. ბუნებისმეტყველების; 5. გეოგრაფიის; 6. უცხო ენების (სპეციალობა: ინგლისური და გერმანული ენები); 7. ფიზიკური აღზრდის.

ინსტიტუტში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე, რომლებსაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება და წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს.

შენიშვნა: ტექნიკუმის, პედსასწავლებლისა და სამწლიანი სამედიცინო სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდებზე დაიშვებიან მათთვის სავალდებულო სამწლიანი საწარმოო სტაჟის გავლის შემდეგ. სტაჟი არ მოეთხოვებათ ტექნიკუმის ის კურსდამთავრებულებს, რომლებიც მოხვდნენ გამოშვების 5%-ში.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: ა) საშუალო სკოლის დამთავრებისას „წარჩინებული სწავლისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის“ ოქროსა და ვერცხლის მედლით დაჯილდოებულნი, მათგან პირველ რიგში ჩაირიცხებიან ოქროს მედლით, შემდეგ კი — ვერცხლის მედლით დაჯილდოებულნი; ბ) უგამოცდოდ ჩაირიცხებიან აგრეთვე ის პირნი, რომლებმაც დამთავრეს პედსასწავლებელი „ფრაადზე“ (წარჩინებული ნიშნებით) და მოხვდნენ გამოშვების 5%-ში.

დანარჩენი პირები მისაღებ გამოცდებს აბარებენ საერთო წესით.

იმ პირთაგან, რომლებმაც მისაღები გამოცდები ჩაბარეს და მიიღეს შეფასება არანაკლებ „სამისა“, ჩაირიცხებიან უფრო მაღალი ნიშნის მქონენი.

მისაღები გამოცდებით ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი) ყველა ფაკულტეტზე, ხოლო სპეციალობის მიხედვით — შემდეგ საგნებში:

I. ფიზიკა-მათემატიკის: 1) მათემატიკა (ზეპირი, წერა), 2. ფიზიკა, 3) ქიმია.

II. ბუნებისმეტყველების: 1) ქიმია. 2) ფიზიკა.

III. ენისა და ლიტერატურის: ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება: 1) სსრკ ხალხთა ისტორია, 2) გეოგრაფია, 3) ერთ-ერთი უცხო ენა (ინგლისური, ფრანგული ან გერმანული), რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილება: 1) სსრკ ხალხთა ისტორია, 2) გეოგრაფია, 3) ერთ-ერთი უცხო ენა.

IV. უცხო ენების: 1) უცხო ენა (ზეპირი, წერა და გრამატიკა), 2) სსრკ ხალხთა ისტორია, 3. გეოგრაფია.

V. გეოგრაფიის: 1) სსრკ ხალხთა ისტორია, 2) გეოგრაფია, 3) მათემატიკა.

VI. ისტორიის: 1) სსრკ ხალხთა ისტორია, 2) გეოგრაფია.

VII. ფიზკულტურის: 1) ქიმია, 2) ფიზიკა, 3) ფიზკულტურა.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 1-დან 20 აგვისტომდე, ხოლო სტუდენტთა ჩარიცხვა იწარმოებს 21-დან 25 აგვისტომდე.

უგამოცდოდ მისაღები პირების ჩარიცხვა იწარმოებს 31 ივლისამდე, განცხადებათა შემოტანის მიხედვით.

შემსვლელს შეაქვს ინსტიტუტში (ქ. ქუთაისი, კიროვის ქ. № 55) დირექტორის სახელზე განცხადება შემდეგი საბუთების თანდართვით: ა) დაწერილებითი ავტობიოგრაფია, ბ) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), გ) პასპორტი, (უნდა წარმოადგინოს პირადად გამოცხადებისას), დ) სამი ფოტოსურათი, ზომა 3×4 სმ., გადაღებული უქუდოდ და დამოწმებული სახელმწიფო დაწესებულების მიერ, ე) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (აუცილებელია მხოლოდ სამხედროვალდებულთათვის).

განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს ის ფაკულტეტი და სპეციალობა, რომელზეც სურს შემსვლელს ჩარიცხვა. მისაღებ გამოცდებზე დაშვებულთა სამედიცინო შემოწმება იწარმოებს ინსტიტუტის ამბულატორიაში. ცნობებისა და კონსულტაციების მიღება შესვლის შესახებ შეიძლება ინსტიტუტში ყოველდღე 9-დან 4 საათამდე. მეცადინეობა ყველა კურსზე დაიწყება 1 სექტემბერს. ინსტიტუტში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო ბინით და სასადილოთი, ხოლო წარჩინებული სტუდენტები—სტიპენდიით.

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები

10 ივლისს	ნაზიმ ჰიქმეთი — **ლეგენდა სიყვარულზე**
11 ივლისს	მ. მრეველიშვილი — **ნიკოლოზ ბარათაშვილი**
12 ივლისს	კ. ბუაჩიძე — **მკაცრი ძალიშვილები**

ბილეთები იყიდება გრიბოედოვის თეატრის სალაროში

სახელმწიფო დაზღვევა აწარმოებს სიცოცხლის სხვადასხვა სახეობის ნებაყოფლობით დაზღვევას

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ერთი ან რამდენიმე სახეობის დაზღვევაზე სხვადასხვა ვადით და სხვადასხვა თანხით.

დაზღვევის ხელშეკრულებათა დასადებად მიმართეთ სახდაზღვევის ინსპექციას ან გამოიძახეთ შინ დაზღვევის აგენტი.

სახდაზღვევის სამმართველო
საქართველოს სს რესპუბლიკაში

საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **ბათლომე სიხარულიძის** გარდაცვალებას.

დები ესმა, დესპინე, მარო, ოლგა, ვარდო შვილებით, ძმა კონსტანტინე, რძალი სონია კობალაძე, ძმისწულები ვახტანგ, ბუხუტი, სიძე ოსეფ მუხურაძე იუწყებიან **ერასტი ბესარიონის-ძე გოგოტაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-VII. 8 ს. გამოსვენება 8-VII, 6 ს. არსენის ქ. № 28.

დები ანასტასია, ეკატერინე, ძმისწულები ვანდა, ლეო, რძლები ნინო, ელენე შიუკაშვილები იუწყებიან **თამარ ივანეს ასულ შიუკაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-VII ქ. თელავში.

აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექცია, პარტორგანიზაცია და მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **ფეოდოსია წულუკიძე-ქუთათელაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ქსენია, შვილები ანგელინა, ვაჟა, გრეტა, ბახვა, ჯენალ, დები ვერა, ოვლიტა, რძ